

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიმართულება: ბიოქიმია

ნატალია დაჩანიძე

**ფსიქო-ემოციური სტრესის გავლენა გულ-სისხლძარღვთა
სისტემისა და სისხლის ფუნქციურ მდგომარეობაზე**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის,
ბიოლოგიის დეპარტამენტის, ბიოქიმიის მიმართულებაზე ბიოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თსუ პროფესორი,
ბ.მ.დ. ნანა კოშორიძე

თბილისი 2016

ანოტაცია

ცივილიზაციის განვითარების სწრაფი ეტაპები, ერთი მხრივ, დადებითი შედეგის მომტანია კაცობრიობისთვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცხოვრების რიტმი, წარმოების ავტომატიზაცია და ინფორმაციის უკონტროლო ნაკადი ადამიანისთვის მუდმივ სტრესს წარმოადგენს.

უკანასკნელი წლების გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქრონიკული სტრესი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ორგანიზმის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე. ლიტერატურული მონაცემების თანახმად, სტრესი არღვევს უჯრედის ფუნქციურ მდგომარეობას და იწვევს ან მნიშვნელოვნად აღრმავებს ისეთ დაავადებებს, როგორცაა გულ-სისხლძარღვთა, იმუნური სისტემისა და ნეიროდეგენერაციული პათოლოგიები, ასევე ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ სტრესის კომბინირებული მოდელის (სოციალური იზოლაცია და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევა) პირობებში მიმდინარე ცვლილებების გავლენა ნაკლებადაა შესწავლილი გულის კუნთის უჯრედების მეტაბოლიზმზე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ ბიოქიმიური ცვლილებების დახასიათება, რომელსაც მოსდევს გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა ტიპის პათოლოგიების ფორმირება.

დადგენილია, რომ სტრესის შედეგად იცვლება ორგანიზმის ნორმალური მეტაბოლიზმი, რაც გამოიხატება ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესის გაძლიერებით, ანტიოქსიდანტური სისტემისა და ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითებით და უარყოფითად აისახება ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობაზე. ასეთ პირობებში ზოგიერთი საკვები დანამატის ორგანიზმში ჭარბი რაოდენობით შეყვანა დადებითად მოქმედებს შეცვლილ ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე. მიუხედავად კრეატინის დადებითი ეფექტისა, ფაქტიურად შეუსწავლელია მისი გავლენა ორგანიზმში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან პროცესებზე, მაგალითად სისხლის ლიპიდურ სპექტრზე, რომლის ცვლილება თავის მხრივ, მთელი რიგი პათოლოგიების მიზეზად მიიჩნევა. ნაშრომში შესწავლილია თეთრი ვირთაგვის სისხლში ლიპიდური სპექტრის ცვლილება ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

ხანგრძლივი სოციალური იზოლაციით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში ორგანიზმში ეგზოგენური კრეატინის შეყვანის ფონზე. ნანახია, რომ სტრესის პირობებში ექსპერიმენტული ცხოველების სისხლში ადგილი აქვს ლიპიდური სპექტრის ცვლილებას, რაც გამოიხატება ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების რაოდენობრივმატებაში. ამავე პირობებში ადგილი აქვს ლიპოპროტეინების რაოდენობრივ ცვლილებებსაც.

ნაჩვენებია, რომ ისეთი დანამატი, როგორცაა კრეატინი, მნიშვნელოვნად ზრდის საერთო ლიპიდების, ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობას სისხლში ათეროგენულობის კოეფიციენტის გაზრდის ფონზე, რაც ისეთი დაავადებების ჩამოყალიბების წინაპირობაა, როგორცაა ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა პათოლოგიები.

Abstract

While a speedy development of civilization is certainly beneficial for the mankind as a whole, the swift rhythm of current lifestyle, nearly total automation of production processes and uncontrolled streaming of information have turned into threatening sources of constant stress for the human.

Recent research has proved that chronic stress has a powerful impact on biochemical properties of human body. Literature data show that stress disrupts functional state of the cell and leads to or significantly intensifies various diseases, such as cardiovascular, immunity and neuro-degenerative pathologies, as well as tumor, etc.

Impact of changes caused by combined stressed model (social isolation and disrupted diurnal cycle) on the metabolism of myocard cells has been scarcely researched. Therefore, we aimed at studying the biochemical changes leading to formation of various pathologies in the cardio-vascular system.

It has been found that stress leads to a changed metabolism of the human body, portrayed by an intensified lipid peroxidation process, inhibited anti-oxidant system and lower energy metabolism. This results in an overall decline of the functional state of the organism. Under the described conditions, injection of certain nutrients positively affect the changed energy metabolism. Notwithstanding the fact that creatine has been found to be one of such helpful nutrients, its effect on other vital processes has been practically ignored. This, among others, includes its impact on the lipid profile of the blood, whose change has been considered to be one of the causes of a large number of pathologies. This work considers change in the blood lipid profile among rats injected with exogenous creatine, when the experimental animals had been subjected to disrupted diurnal cycle and psycho-emotional stress caused by extended social isolation. We found that stressed animals' blood lipid profile changes, reflected in the rise of cholesterol and triacylglycerol levels and varying level of lipoprotein content.

We try to show that creatine significantly increases the quantity of general lipids, cholesterol and low-density lipoproteins, simultaneously heightening blood atherogenic ratio, which is a precondition for development of various diseases, such as atherosclerosis, ischemic heart diseases and other cardio-vascular pathologies.

შინაარსი

აბრევიატურები და შემოკლებები.....	9
თავი I. შესავალი.....	11
I.1. ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის გავლენა ორგანიზმზე.....	15
I.2. სტრესის ფონზე მეტაბოლიზმის ცვლილება გულ-სისხლძარღვთა სისტემაში.....	18
I.2.1 ხანგრძლივი იზოლაციითა და ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესში მონაწილე ზოგიერთი ჰორმონის დახასიათება.....	18
I.2.1.1 მელატონინი.....	18
I.2.1.2 სეროტონინი.....	21
I.2.1.3 კორტიკოსტერონი.....	22
I.2.2 აზოტის ოქსიდი.....	23
I.2.3 ოქსიდაციური სტრესი და ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტი.....	25
I.2.3.1 ოქსიდაციური სტრესი და ჟანგბადის აქტიური ფორმები.....	25
I.2.3.2. ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტი.....	27
I.2.4 უჯრედის ენერგეტიკული მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის დახასიათება.....	31
I.2.4.1. კრეატინფოსფოკინაზა.....	31
I.2.4.2. ალდოლაზა.....	32
I.2.4.3. კრებსის ციკლის ზოგიერთი ფერმენტი.....	33
I.2.5. სისხლის ლიპიდური ცვლის დარღვევები.....	34
I.2.5.1. ათეროგენეზის ლიპიდური რისკ-ფაქტორები.....	36
I.3 კრეატინი, როგორც ეგზოგენური დანამატი.....	40

I.4 პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები (PBMC).....	43
თავი II. კვლევის ობიექტი და მეთოდები.....	44
II.1. კვლევის ობიექტი.....	44
II.2. კრეატინის ინტრაპერიტონეალური მიწოდება.....	44
II.3. სუბუჯრედული ფრაქციების მიღება დე-რობერტისის მიხედვით.....	45
II.4 სისხლის პლაზმის მიღება.....	46
II. 5 პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედების (PBMC) გამოყოფა.....	46
II.6. ჰორმონების რაოდენობის განსაზღვრა.....	46
II.7. აზოტის ოქსიდის რაოდენობის განსაზღვრა.....	46
II.8. აზოტის ოქსიდის სინთაზას აქტივობის განსაზღვრა.....	47
II.9. Ca ²⁺ -ის კონცენტრაციის განსაზღვრა.....	47
II.10. ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ზოგიერთი პროდუქტის განსაზღვრა.....	48
II.11. სუპეროქსიდდისმუტაზას ფერმენტული აქტივობის განსაზღვრა.....	49
II.12. ფერმენტ კატალაზას აქტივობის განსაზღვრა.....	50
II.13. ფერმენტ გლუტათიონ რედუქტაზასა და გლუტათიონ პეროქსიდაზას აქტივობის განსაზღვრა.....	51
II.14. ფერმენტ აკონიტაზას აქტივობის განსაზღვრა.....	52
II.15. ფერმენტ ფუმარაზას აქტივობის განსაზღვრა.....	52
II.16. ფერმენტ სუქცინატდეჰიდროგენაზას აქტივობის განსაზღვრა.....	53
II.17. ფერმენტ ალდოლაზას აქტივობის განსაზღვრა.....	53
II.18. ატფ-ს რაოდენობრივი განსაზღვრა.....	54
II.19. ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის განსაზღვრა.....	54

II.20. კრეატინისა და ფოსფოკრეატინის რაოდენობრივი განსაზღვრა.....	55
II.21. კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტის (GAMT) აქტივობისა და მატრანსპორტირებელი ცილის რაოდენობის განსაზღვრა.....	56
II.22. საერთო ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების რაოდენობის განსაზღვრა.....	57
II.23. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (HDL) და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (LDL) რაოდენობის განსაზღვრა.....	57
II.24. დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (oxLDL) რაოდენობის განსაზღვრა.....	58
II.25. ჟანგბადის აქტიური რადიკალების რაოდენობის განსაზღვრა.....	59
II.26. ცილის კონცენტრაციის განსაზღვრა ლოურის მეთოდით.....	59
II.27. სტატისტიკური ანალიზი.....	60

თავი III. მიღებული შედეგები და მათი განხილვა.....61

III.1. ფსიქო-ემოციური სტატუსის განსაზღვრა ხანგრძლივი იზოლირებისა და ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში.....	61
III.2. გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში აზოტის ოქსიდისა და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტების რაოდენობრივი შემცველობის ცვლილება ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში.....	65
III.3. გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილებები ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში.....	74
III.4. გულის კუნთის ქსოვილში ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილება იზოლირებითა და დღე-ღამური რიტმის ცვლილებით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში.....	79
III.5. კრეატინის რაოდენობრივი ცვლილებები ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში	83
III.6. ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინის გავლენა გულის კუნთის ენერგეტიკულ მეტაბოლიზმსა და სისხლის ლიპიდურ სპექტრზე	90

მიღებული შედეგების მოკლე მიმოხილვა.....	102
დასკვნები.....	104
გამოყენებული ლიტერატურა.....	105
გამოქვეყნებული პუბლიკაციები.....	127
სამეცნიერო კონფერენციები.....	129

აბრევიატურები და შემოკლებები

5-HT-5-ჰიდროქსიტრიფტამინის რეცეპტორი

5-HTP-5-ჰიდროქსი-L-ტრიფტოფანი

AADC-5-ჰიდროქსიტრიფტოფან დეკარბოქსილაზა

AANAT-არალკილამინ-N-აცეტილტრანსფერაზა

ACTH-ადენოკორტიკოტროპული ჰორმონი

AGAT- L-არგინინ: გლიცინამიდინოტრანსფერაზა

cAMP-ციკლური ადენოზინმონოფოსფატი

CK-კრეატინკინაზა

CORT-კორტიკოსტერონი

CrT-კრეატინის ტრანსპორტერი

DMSO-დიმეთილსულფოქსიდი

EDRF-ენდოთელიუმის რელაქსაციის ფაქტორი

EDTA-ეთილენდიამინოტეტრააცეტატის მჟავა

eNOS-ენდოთელური აზოტის ოქსიდის სინთაზა

GAA-გუანიდინოაცეტატის მჟავა

GAMT-გუანიდინოაცეტატ-მეთილ ტრანსფერაზა

GPx-გლუტათიონ პეროქსიდაზა

GRF-კორტიკოტროპინ რილიზინგ ფაქტორი

GR-გლუკოკორტიკოიდული რეცეპტორები

GR-გლუტათიონ რედუქტაზა

GSH-გლუტათიონი

GSSG-გლუტათიონის დისულფიდი

H₂O₂-წყალბადის ზეჟანგი

HDL-მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი

HPA-ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის ღერძი

iNOS-ინდუციბლური აზოტის ოქსიდის სინთაზა

LDL-დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი

MCP-1-მონიციტების ქემოტაქსის ცილა-1
M-CSF-მაკროფაგების კოლონიის მასტიმულირებელი ფაქტორი
MM-LDL-მინიმალურად მოდიფიცირებული დსლპ
MR-მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორები
MT1-მელატონინის რეცეპტორი 1
MT2-მელატონინის რეცეპტორი 2
MTT 3-(4,5-დიმეთილთიაზოლი)-2,5-დიფენილტეტრაზოლიუმის ბრომიდი
nNOS-ნეირონული აზოტის ოქსიდის სინთაზა
NOS-აზოტის ოქსიდის სინთაზა
NO-აზოტის ოქსიდი
O₂⁻-სუპეროქსიდის რადიკალი
ONOO⁻-პეროქსინიტრიტი
oxLDL-დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინი
PKA- cAMP-დამოკიდებულ პროტეინკინაზა A
PBMC-პერიფერიული სისხლის მონონუკლეარული უჯრედები
PKB-პროტეინკინაზა B
PMS-ფენაზილ მეტოსულფატი
ROS-ჯანგბადის აქტიური ფორმები
SNAT-სეროტონინ-N-აცეტილტრანსფერაზა
SOD-სუპეროქსიდდისმუტაზა
TMB-3,3',5,5'-ტეტრამეთილბენზიდინი
TPH-ტრიფტოფან ჰიდროქილაზა
აბრევიატურები და შემოკლებები
დსლპ-დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები
კად-კორონარული არტერიების დაავადებები
მსლპ-მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები
სსლპ-საშუალო სიმკვრივის ლიპოპროტეინები
ძდსპლ-ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნემ გლობალიზაციის, ახალი ტექნოლოგიებისა და უამრავი სიახლის გარდა, მუდმივი სტრესის და ამ ფონზე განვითარებული ჯანმრთელობის დარღვევის რისკები წარმოშვა. თანამედროვე ცხოვრების რიტმი, წარმოების ავტომატიზაცია, ინფორმაციის უკონტროლო ნაკადი ადამიანისთვის მუდმივ სტრესს წარმოადგენს. თანამედროვე განმარტებით, სტრესი იმ დამცავი ფიზიოლოგიური რეაქციების ერთობლიობაა, რომლებიც ორგანიზმში გარემოს მავნე ფაქტორების ზემოქმედების საპასუხოდ და მათგან დასაცავად ცხადდება. თავდაპირველად, სტრესი დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე. ეს ზემოქმედება ინდივიდუალურად განსაზღვრული დროის მონაკვეთს მოიცავს. ხანმოკლე სტრესი ორგანიზმის ცხოველქმედების აუცილებელი ატრიბუტია, იმ დროს როდესაც ხანგრძლივმა სტრესმა შესაძლებელია ორგანიზმის დალუპვაც კი გამოიწვიოს. სტრესს-რეაქცია აღიძვრება არა მხოლოდ ძლიერი, ინტენსიური გამღიზიანებლის მოქმედებით, არამედ მისი გამოწვევა შეუძლია სუსტ გამღიზიანებელსაც ხანგრძლივი მოქმედების შემთხვევაში.

უკანასკნელი წლების გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქრონიკული სტრესი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ორგანიზმის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე. ლიტერატურულ მონაცემების თანახმად, სტრესი არღვევს უჯრედის ფუნქციურ მდგომარეობას, აღრმავებს ან იწვევს ისეთ მნიშვნელოვან დაავადებებს, როგორცაა გულისა და ცერებროვასკულარული დაავადებები, ნეიროდეგენერაციული პათოლოგიები, დიაბეტი, ავთვისებიანი სიმსივნეები, ასთმა, ნევროზი, დეპრესია და სხვა [1-3], რაც გამოწვეულია სტრესის შედეგად უჯრედულ სტრუქტურებში მიმდინარე საპასუხო რეაქციებით, კერძოდ თავისუფალ-რადიკალური ჟანგვის გამღიერებით, უჯრედშიდა კალციუმის რაოდენობრივი ცვლილებებით, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითებით და სხვა [4,5]. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტრესის გავლენის შესწავლას გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ფორმირების პროცესში [6,7].

ცნობილია, რომ სტრესის პირობებში ადგილი აქვს სისხლში დიდი რაოდენობით სპეციფიკური, ე.წ. „სტრესს-ჰორმონების“ გამოთავისუფლებას, რომლების აქტიურად

მოქმედებენ უჯრედში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე და ცვლიან მათ მიმდინარეობას [8-10]. უჯრედული მეტაბოლიზმის ცვლილების ძირითად მახასიათებელს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის (ლზჟ) აქტივაცია წარმოადგენს. ნორმალურ პირობებში ეს პროცესი განსაზღვრული ინტენსივობით აუცილებელია უჯრედის ფუნქციონირებისათვის. პროცესის მიმდინარეობა დამოკიდებულია ჟანგბადის აქტიური ფორმების წარმოქმნასა და უჯრედის ანტიოქსიდანტურ სისტემის ფუნქციონირების ხარისხზე. უჯრედის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალები ურთიერთქმედებენ რა სხვადასხვა ტიპის მოლეკულებთან, მაგალითად აზოტის ოქსიდთან (NO), ინიცირებენ ლზჟ-ს პროცესს. NO თავის მხრივ, ადვილად ურთიერთქმედებს ჟანგბადის რადიკალთან, წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ დამჟანგველს (ONOO⁻) და აზიანებს გულის კუნთის უჯრედების მიტოქონდრიულ ფერმენტებს, ზემოქმედებს რა ცისტეინის ნაშთებზე, იწყება ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში ჩართული სხვადასხვა ფერმენტის ინაქტივაცია. ასეთ ფერმენტებს მიეკუთვნება გლიცერალდეჰიდ-3-ფოსფატდეჰიდროგენაზა, კრეატინკინაზა (CK), NADH-დეჰიდროგენაზა, სუქცინატდეჰიდროგენაზა, ციტოქრომ C-რედუქტაზა, ATP-სინთაზა და სხვ., რასაც შესაბამისად მოსდევს ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ცვლილებები [11,12].

აღნიშნულიდან გამომდინარე უჯრედის „ნგრევის“ პროცესი სტრესული სიტუაციებისას ინტენსიურად მიმდინარეობს და გრძელდება მანამ, სანამ პროცესში არ ჩაერთვება ანტიოქსიდანტური სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა უჯრედის დაცვა ჭარბი რაოდენობის თავისუფალი რადიკალებისგან. ცხოველური ორგანიზმის ანტიოქსიდანტური სისტემა წარმოდგენილია მთელი რიგი ენდოგენური ნაერთებითა და ფერმენტული სისტემებით. ანტიოქსიდანტური ფერმენტული სისტემების აქტივობა უჯრედში მუდმივი არ არის და ზოგიერთ ფიზიოლოგიურ პირობებში იცვლება, მათ შორის ხანგრძლივი და ძლიერმოქმედი სტრესის შემთხვევაში. პროოქსიდანტური პროცესების ინტენსიფიკაცია, რომელიც აჭარბებს უჯრედის ანტიოქსიდანტურ შესაძლებლობებს, განაპირობებს ისეთ მნიშვნელოვან პროცესს, როგორცაა ოქსიდაციური სტრესი [13-15].

უჯრედულ მეტაბოლურ პროცესებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ჰომეოსტაზის შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა მეტაბოლური გზებით (გლიკოლიზი, კრებსის ციკლი, ჟანგვითი ფოსფორილირება, ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვა და სხვ.) ყველა ცოცხალი უჯრედი, წარმოშობისა და ტიპის მიუხედავად, საჭიროებს ენერგიას სასიცოცხლო ფუნქციების განსახორციელებლად. ადენოზინტრიფოსფატი (ატფ) უჯრედული ენერგიის ძირითად წყაროს წარმოადგენს და მისი შიდაუჯრედული დონის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უჯრედული პროცესის მიმდინარეობისთვის. თუ უჯრედი ვეღარ ასწრებს დახარჯული ატფ-ს ჩანაცვლებას. ასეთ შემთხვევებში ატფ-ის მარაგის გამოლევა და უჯრედის ენერგეტიკული დონის დაცემა ხშირად აპოპტოზით ან ნეკროზით მთავრდება [16-18].

ცნობილია, რომ სტრესული სიტუაციები მნიშვნელოვნად მოქმედებენ სისხლის ლიპიდურ სპექტრზე და ზრდიან გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების განვითარების რისკს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოქსიდაციური სტრესის ფონზე დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების წარმოქმნა, რომლის ჭარბი რაოდენობით დაგროვება უარყოფითად მოქმედებს, სისხლძარღვის კედლის მთლიანობაზე და უზრუნველყოფს „ქაფიანი უჯრედების“ ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ათეროსკლეროზის ჩამოყალიბების წინაპირობაა [19-22].

სამუშაოს მიზანი

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში მეტაბოლური პროცესების მიმდინარეობის თავისებურების დადგენა სოციალური იზოლაციითა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში.

აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ შემდეგი:

1. სოციალური იზოლაციითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში ოქსიდაციური პროცესების შესწავლა;

2. ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში გულის კუნთის ქსოვილში ჟანგვითი ფოსფორილირებისა და შესაბამისად, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის მიმდინარეობის შესწავლა;

3. ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინის პრევენციული როლის განსაზღვრა ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილში მიმდინარე ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე;

4. ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში, ვირთაგვას სისხლის პლაზმის ლიპიდური მაჩვენებლების შესწავლა.

მეცნიერული კვლევის სიახლე: ნაშრომში პირველადაა დახასიათებული სტრესის კომბინირებული მოდელის (ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია, რომელიც მიმდინარეობს დღე-ღამური რიტმის დარღვევის ფონზე) პირობებში გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში მიმდინარე ენერგეტიკული და ჟანგვითი მეტაბოლური პროცესების მიმდინარეობა. ასევე პირველადაა შესწავლილი ხანგრძლივი დროით ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინის გავლენა სისხლის ლიპიდურ შემცველობაზე.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი წარმოდგენილია 129 გვერდზე და მოიცავს შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას, კვლევის მეთოდებს, მიღებულ მონაცემებსა და მათ განხილვას და ასევე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. ნაშრომში შეტანილია 32 სურათი და 2 ცხრილი.

ლიტერატურული მიმოხილვა

I.1. ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის გავლენა ორგანიზმზე

სტრესი ცხოველური ორგანიზმის სპეციფიკური ფიზიოლოგიური რეაქციაა, რომლის მიზეზია სხვადასხვა გარეგანი, თუ შინაგანი არახელსაყრელი ფაქტორების არსებობა.

სტრესი ეს არის გამღიზიანებლის (ინტოქსიკაციის, ინფექციის, ძლიერი განცდის, სისხლის დაკარგვის, მაიონიზებული გამოსხივების, ტრამვისა და სხვ.) მოქმედების შედეგად ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური პროცესების წონასწორობის დარღვევა, რასაც პირველ ეტაპზე შეუძლია გამოიწვიოს რთული დაცვითი რეაქციების კომპლექსი ე.წ. ადაპტური სინდრომი (სტრესის ცნება პირველად შემოიღო კანადელმა მეცნიერმა ჰ. სელიემ 1936 წ.) [22].

ცნობილია, რომ სტრესი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ნებისმიერ „არასტანდარტულ“ სიტუაციაში ორგანიზმის დამცველობითი რეაქციაა. ხანმოკლე სტრესის შედაგად ორგანიზმი „ფხიზლდება“, ემატება ტონუსი, მზადაა საბრძოლველად და თავის დასაცავად, ან გასაქცევად, მაგრამ სტრესორის ხანგრძლივად მოქმედების შედეგი ორგანიზმზე უარყოფითია და შეიძლება მისი დაღუპვაც კი გამოიწვიოს [23].

თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ სტრესს ორგანიზმზე ყოველთვის დამანგრეველი, ნეგატიური გავლენა ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით იმავე ჰანს სელიემ სტრესები დადებითებად და უარყოფითებად დაყო. დადებით სტრესს ეუსტრესი უწოდა, ხოლო უარყოფითს - დისტრესი [24,25].

სტრესი ძირითადად ორი სახისაა-ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური. სტრესორის მოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ სტრესის 2 ფორმას: მწვავეს და ქრონიკულს.

სტრეს-რეაქცია სამ სტადიად მიმდინარეობს:

1. საბრძოლო სტადია- განგაშის სტადია, როცა ხდება ორგანიზმის მობილიზაცია და იგი უკვე მზადაა ბრძოლისათვის ან გაქცევისათვის; ამ ეტაპზე არასასურველი ფაქტორების შედეგად იწყება ზოგიერთი ჰორმონის (ადრენალინის, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონისა და გლუკოკორტიკოიდების) გაძლიერებული სეკრეცია;
2. რეზისტენტობის ფაზა, რომლის დროსაც სისხლში გლუკოკორტიკოიდების ჭარბი რაოდენობა იწვევს არასასურველი ზემოქმედების მიმართ ორგანიზმის გამძლეობის განვითარებას;
3. ადაპტაციის ან გამოფიტვის ანუ დისტრესის ფაზა. მესამე ფაზის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ ენერჯის რა მარაგი გააჩნია ორგანიზმს ე.ი. ორგანიზმის რეაქცია სტრესულ ზემოქმედებაზე რეალიზდება ზოგადი ადაპტაციური სინდრომის სახით. გამოფიტვის სტადიაში თირკმელზედა ჯირკვლები წყვეტს საკმაო რაოდენობით გლუკოკორტიკოიდების გამოყოფას. ეს უკანასკნელი (სელიეს მიხედვით) დაცვით ჰორმონებს წარმოადგენენ და ამის გამო, ზოგადად, ორგანიზმის მდგომარეობა მძიმდება [26].

სტრესული სიტუაციებისადმი ადაპტაციის პროცესში მონაწილეობს როგორც ცენტრალური, ასევე პერიფერიული ნერვული სისტემა და ენდოკრინული სისტემა [27].

სტრესულ სიტუაციებზე პასუხისმგებელია თავის ტვინის სამი უბანი: ნუშურა ჯირკვალი, ჰიპოკამპი და პრეფრონტალური ქერქი. სამივე უბანში განლაგებულია კორტიკოსტეროიდული რეცეპტორები, რომელიც თავის მხრივ 2 ტიპისაა: მინერალოკორტიკოიდული და გლუკოკორტიკოიდული რეცეპტორები. მინერალოკორტიკოიდულ რეცეპტორებს (MR) გააჩნიათ მაღალი აფინობა კორტიზოლის მიმართ. ჩვეულებრივ პირობებში, ისინი ნაწილობრივ აქტიურები არიან. მუდმივად აქტიურდებიან მაშინ, როცა ირღვევა ორგანიზმის ჰომეოსტაზი. მეორე ტიპის რეცეპტორებს, გლუკოკორტიკოიდულ რეცეპტორებს (GR) გააჩნიათ დაბალი აფინობა კორტიზოლის მიმართ და აქტივდებიან მხოლოდ მაშინ, როცა სტრესის ინტენსივობა პიკს აღწევს. ეს საშუალებას აძლევს ტვინს სწრაფად წარმოქმნას საპასუხო რეაქცია გამდიზიანებელზე, ამიტომ ვუმკლავდებით ადვილად სტრესულ სიტუაციებს პირველ ეტაპზე, როდესაც სტრესორის მოქმედება ორგანიზმზე ქრონიკულ ხასიათს

იღებს, ნერვულ სისტემაში უჯრედულ დონეზე იწყებ მეტაბოლური ცვლილებები, რასაც მოსდევს ჯანმრთელობისთვის საშიში მდგომარობა. მაგალითად, სტრესის შედეგად მკვეთრად მცირდება ჰემატოენცეფალური ბარიერის უნარი შეზღუდოს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების გადასვლა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის სისტემიდან [28-30].

სტრესის საპასუხო პროცესები მიმდინარეობს პერიფერიულ ნერვულ სისტემაშიც. კერძოდ ავტონომიური ნერვული სისტემის აქტივაცია განაპირობებს მთელი რიგი ქიმიური რეაქციების დაწყებას. პრეგანგლიური ნერვული უჯრედებიდან ხდება აცეტილქოლინის გამოთავისუფლება. აღნიშნული ნეიროტრანსმიტერი ასტიმულირებს პოსტგანგლიური ნეირონებიდან ნორადრენალინის გამოყოფას, რომელიც უშუალოდ სისხლის მიმოქცევის სისტემაში ხვდება და განაპირობებს ნერვული და ენდოკრინული სისტემების აქტივაციას [31].

ნორადრენალინი ააქტივებს ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის ღერძს (HPA), რომელიც თავის მხრივ, ამუშავებს ინფორმაციას ჰიპოთალამუსში სტრესორის შესახებ. სიგნალი ჰიპოთალამუსიდან სწრაფად გადაეცემა ჰიპოფიზში და საბოლოოდ ხვდება თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში, რომლის საპასუხოდ იწყება კორტიკოსტეროიდების, კერძოდ : კორტიზოლისა და კორტიკოსტერონის სეკრეცია[32].

გარდა ბიოქიმიური ცვლილებებისა, სტრესულ სიტუაციებს ორგანიზმი პასუხობს ფიზიოლოგიური ცვლილებებითაც. საბოლოოდ ქრონიკული სტრესი უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზმზე და შესაძლოა მისი დაღუპვა გამოიწვიოს.

I.2. სტრესის ფონზე მეტაბოლიზმის ცვლილება გულ-სისხლძარღვთა სისტემაში

I.2.1 ხანგრძლივი იზოლაციითა და ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესში მონაწილე ზოგიერთი ჰორმონის დახასიათება

I.2.1.1 მელატონინი

მელატონინი (N-აცეტილ-5-მეტოქსიტრიფტოფანი) აღმოჩენილია ცხოველებში, მცენარეებში, სოკოებსა და ბაქტერიებში. ხერხემლიანებში ეს ჰორმონი არეგულირებს დღე-ღამური რიტმს და მონაწილეობს სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესის ნორმალიზებაში [33]. მელატონინის ბიოლოგიური ეფექტი ვლინდება მისი რეცეპტორების აქტივაციის შემდგომ, გარდა ამისა, იგი განიხილება როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი და მონაწილეობს ბირთვული და მიტოქონდრიული დნმ-ის დაცვაში [34-36].

ორგანიზმში მელატონინი წარმოიქმნება ეპიფიზის უჯრედებში – პინეალოციტებში N-აცეტილსეროტონინისაგან. მისი სეკრეცია სისხლში ხდება ღამით. დადგენილია, რომ ადამიანის ძილი მთლიანად დამოკიდებულია სინთეზირებული ჰორმონის რაოდენობაზე. ლიტერატურული მონაცემებით ეპიფიზში სეროტონინი გამომუშავდება დღისით და იგი მელატონინში გადადის ღამით. სინათლისა და სიბნელის ამგვარი მონაცვლეობა ასრულებს ერთგვარი ზამზარის როლს, რომელსაც მოძრაობაში მოყავს ეპიფიზში განლაგებული თავისებური ბიოლოგიური საათი [37-39]. ხშირ შემთხვევაში ნეიროდეგენერაციული პათოლოგია და სეზონური აფექტური აშლილობა გამოწვეულია ღამის საათებში მელატონინის სეკრეციის დაბალი დონით. მელატონინი აქტიურად მონაწილეობს ენდოკრინული, იმუნური, ვეგეტატიური და ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის რეგულაციაში [40-42]. გარდა ამისა, მელატონინი წარმატებით გამოიყენება ოსტეოპოროზის, გლაუკომის, ალცჰეიმერის, პარკისონის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ [43]. იგი ადვილად ლახავს თავის ტვინის ჰემატოენცეფალურ ბარიერს და ხანგრძლივი მოხმარების შემთხვევაშიც კი არ

იწვევს გვერდით მოვლენებს. მელატონინი ამჟამად რეკომენდირებულია აშშ-სა და ევროპის მრავალ ქვეყანაში, როგორც კვებითი დანამატი (აშშ-ის 1994 წლის აქტის შესაბამისად კვებითი დანამატის შესახებ – Dietary Supplement Health and Education Act).

მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ მელატონინი სელექციურად დამთრგუნველ მოქმედებას ავლენს კიბოს უჯრედების გამრავლებაზე და ამუხრუჭებს მათ მიტოზურ დაყოფას in vitro და in vivo პირობებში. კერძოდ, in vitro ონკოსტატიკური ეფექტი ნაჩვენებია მკერდის ჯირკვლის კიბოსა და მელანომის უჯრედების კულტურებზე. თუმცა უჯრედის სიმსივნურ ზრდაზე მელატონინის მოქმედების მექანიზმი ბოლომდე არ არის გამოკვლეული [44].

მელატონინის ბიოსინთეზი ადამიანებსა და ცხოველებში მიმდინარეობს ჯალღუზისებურ სხეულში (ეპიფიზი). მელატონინს ეპიფიზი ამინომჟავა ტრიფტოფანისგან უპირატესად ღამით გამოიმუშავებს, ხოლო დღისით ეპიფიზში ტრიფტოფანისგან ნეირომედიატორი – სეროტონინი წარმოიქმნება [45,46].

მელატონინის სინთეზი მიმდინარეობს 4 სტადიად. პირველ და მეორე ეტაპზე ამინომჟავა L-ტრიფტოფანი ფერმენტ ტრიფტოფან-5-ჰიდროქსილზას მეშვეობით გარდაიქმნება 5-ჰიდროქსი-L-ტრიფტოფანად (5-HTP). შემდგომ ეტაპზე 5-HTP დეკარბოქსილირდება 5-ჰიდროქსიტრიფტოფან დეკარბოქსილზას მეშვეობით და მიიღება სეროტონინი.

სიბნელის პირობებში აქტივდება საკვანძო ფერმენტი არალკილამინ-N-აცეტილტრანსფერაზა (AANAT) იგივე, სეროტონინ-N-აცეტილტრანსფერაზა (SNAT) და ახდენს სეროტონინის გარდაქმნას N-აცეტილსეროტონინად, რომელსაც საბოლოოდ გარდაიქმნება მელატონინად ფერმენტი აცეტილსეროტონინ-O-მეთილტრანსფერაზას მიერ [47,48]. ცნობილია, რომ AANAT გენი აქტივდება მხოლოდ ფოტოპერიოდის გავლენით და ადამიანებში იგი ლოკალიზებულია მე-7 ქორმოსომაში.

ხერხემლიანებში მელატონინის სეკრეცია რეგულირდება ნორადრენალინით. ნორადრენალინი მაღლა წევს უჯრედშიდა cAMP-ის კონცენტრაციას ბეტა-ადრენერგული რეცეპტორების მეშვეობით და ააქტიურებს cAMP-დამოკიდებულ პროტეინკინაზა A-ს (PKA). ამ უკანასკნელის მეშვეობით მიმდინარეობს AANAT-ის

ფოსფორილირება. დღის სინათლის ზემოქმედებით კი ხდება ნორადრენერგული სტიმულაციის შეჩერება [49]. ცნობილია, რომ ლურჯი ფერის, 460-480 ნმ-ის ტალღის სიგრძის ნათება იწვევს მელატონინის სეკრეციის ინჰიბირებას და ინჰიბირების ინტენსივობა სინათლის ინტენსივობისა და ხანგრძლივობის პროპორციულია [50].

ორგანიზმის დაბერებასთან ერთად მცირდება ეპიფიზის მიერ მელატონინის გამომუშავების უნარი და იმავდროულად მისი მაქსიმალური კონცენტრაციის გამომუშავების პერიოდი სულ უფრო და უფრო უახლოვდება ღამის დამთავრების საათებს. როგორც აღმოჩნდა, ეს ფაქტი საფუძვლად უდევს ადამიანის დაბერების სიმპტომების გაჩენას. მელატონინი მთავარ მაინიცირებელ ფუნქციას ასრულებს ადამიანის ორგანიზმის ორგანოებისა და სისტემების მუშაობის აღდგენაში ძილის დროს [51-53].

გარდა სინქრონიზაციის რეგულირებისა, მელატონინს გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები. მას ადვილად შეუძლია გადალახოს უჯრედის მემბრანა და ჰემატოენცეფალური ბარიერი, რის შემდეგაც უკავშირდება ისეთ თავისუფალ რადიკალებს, როგორებიცაა O_2^- , NO^- , OH^- [54,55]. მელატონინი მოქმედებს სხვა ანტიოქსიდანტებთან ერთად და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მუშაობას. იგი 2-ჯერ აქტიურია, ვიდრე ისეთი ძლიერი ანტიოქსიდანტი, როგორიცაა ვიტამინი E და ითვლება, რომ არის ყველაზე ლიპოფილური ანტიოქსიდანტი [56].

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მელატონინი მონაწილეობს იმუნური სისტემის რეგულირებაში. მას გააჩნია მაღალი აფინურობა MT1 და MT2 რეცეპტორებთან მიმართებაში. პრეკლინიკური კვლევები ადასტურებს, რომ მელატონინმა შეიძლება გაზარდოს ციტოკინების პროდუქცია და ამით გაუწიოს წინააღმდეგობა ორგანიზმში მიმდინარე იმუნოდეფიციტურ მდგომარეობებს. მას ასევე გააჩნია დადებითი ეფექტი ისეთი ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა აივ-ი და ბაქტერიული ინფექციები, თუმცა რა მექანიზმით ხორციელდება ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ჯერჯერობით უცნობია [57].

I.2.1.2 სეროტონინი

სტრესორის ზემოქმედებისას ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები 2 სახისაა: ქცევითი და ნეიროენდოკრინული, რომელიც თავის მხრივ ხორცილედება სიმპატიკური ნერვული სისტემისა და HPA-ღერძის აქტივაციის შედეგად. არსებობს უამრავი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სტრესის შედეგად თავის ტვინის სხვადასხვა უბანში (ჰიპოკამპში, ჰიპოთალამუსში, ქერქში და ა.შ.) აქტივებიან სეროტონინერგული რეცეპტორები, რის შედეგადაც გამოთავისუფლდება სეროტონინი და იწყება სხვადასხვა მეტაბოლური ცვლილებები [58,59].

სეროტონინი წარმოადგენს ამინის ჯგუფის შემცველ ნეიროტრანსმიტერს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცენტრალურ ნერვულ სისტემის და საჭმლის მომნელებელ ტრაქტის ფუნქციონირებაში. ორგანიზმში სინთეზირებული სეროტონინის უდიდესი ნაწილი მოდის საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე, სადაც იგი არეგულირებს ნაწლავების პერისტალტიკას და ასევე საჭმლის მონელებასთან დაკავშირებულ სხვა პროცესებს. ორგანიზმში არსებული სეროტონინის დაახლოებით 20% გამოუმუშავდება თავის ტვინში და მონაწილეობს ემოციური სტაბილურობის და ხასიათის რეგულირებაში. იგი ასევე მოქმედებს ცირკადულ რიტმზე [60,61].

სეროტონინის სინთეზი მიმდინარეობს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე L-ტრიფტოფანისგან ფერმენტ ტრიფტოფან ჰიდროქილასას (TPH) მეშვეობით წარმოიქმნება 5-ჰიდროქსიტრიფტოფანი, შემდგომ ეტაპზე კი სინთეზირებული პროდუქტი განიცდის დეკარბოქსილირებას და ფერმენტ 5-ჰიდროქსიტრიფტოფან დეკარბოქსილასას (AADC) მეშვეობით, რასაც მოსდევს 5-ჰიდროქსიტრიფტამინის ანუ სეროტონინის სინთეზი [62].

სეროტონინის ეფექტი რეალიზდება მას შემდეგ, რაც გააქტივდება მისი რეცეპტორები. ცნობილია სეროტონინის რეცეპტორთა რამოდენიმე ოჯახი (5-HT₁, 5-HT₂, 5-HT₃, 5-HT₄, 5-HT₅, 5-HT₆, 5-HT₇), რომლებიც G-ცილებთან ასოცირებული რეცეპტორებია. გამონაკლისია 5-HT₃, რომელიც ლიგანდ-დაჭიმურული იონური არხია. 5-HT₃ რეცეპტორის გააქტივება იწვევს Ca²⁺ -ის შედინებას უჯრედებში, თუმცა ამ პროცესის განხორციელების მექანიზმი უცნობია [63].

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეცეპტორებიდან ყველა არაა მგრძობიარე სტრესის ზემოქმედებისადმი. ამ პროცესში წამყვანი როლი აკისრია 5-HT_{1A} რეცეპტორს, რომელიც წარმოადგენს აუტორეცეპტორს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სეროტონინის გამოთავისუფლებაში. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ მწვავე სტრესის პირობებში შესაძლოა გააქტიურდეს ან ინჰიბირდეს ჰიპოკამპსა და ქერქში არსებული 5-HT_{1A} რეცეპტორი [64-66].

ნანახია, რომ ქრონიკული სტრესის დროს სეროტონინის შემცველობა სისხლში მკვეთრად მატულობს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს კორტიკოსტერონისა და კორტიზოლის გამოთავისუფლების პორცესზე.

სეროტონინის ჭარბი რაოდენობა ააქტივებს ენდოთელიალურ აზოტის ოქსიდის სინთაზას (eNOS), რომელიც თავის მხრივ ასინთეზირებს NO-ს [67]. ასევე ენტეროქრომაფინული უჯრედების მიერ სინთეზირებული სეროტონინის სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვედრის შემდგომ, მას აქტიურად მიიტაცებენ თრომბოციტები და თრომბის შექმნის დროს გამოყოფენ, ამ შემთხვევაში სეროტონინს გააჩნია ვაზოკონსტრიქციული ეფექტი [68].

I.2.1.3 კორტიკოსტერონი

გლუკოკორტიკოიდები მოქმედებენ თავის ტვინზე, კერძოდ ჰიპოფიზის წინა წილზე, როგორც სტრესული პირობებით ინდუცირებული კორტიკოტროპინ რილიზინგ ფაქტორისა (GRF) და ადენოკორტიკოტროპული ჰორმონის (ACTH) სეკრეციის ინჰიბიტორები. სტრესის პირობებში ირღვევა აღნიშნული კავშირი, რასაც მოსდევს კორტიკოსტერონის ჭარბი რაოდენობით გამოთავისუფლება [69].

თირკმელზედა ჯირკვალში სინთეზირებული კორტიკოსტერონი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად სტრესს ჰორმონს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლიმბური სისტემის ნეირონთა ნორმალურ ფუნქციონირებაში [70-72]. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კორტიკოსტერონი გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში სინაფსური კავშირებით განპირობებულ პროცესებსა და იონურ არხების ფუნქციონირებაზე [73]. კერძოდ, იგი მოქმედებს L-ტიპის კალციუმის არხებზე და

ზრდის მათ განვლადობას, თუმცა რა მექანიზმით ხორციელდება ეს პროცესი, ჯერჯერობით დაუდგენელია [74-77].

კორტიკოსტერონი მოქმედებს მინერალოკორტიკოიდულ და გლუკოკორტიკოიდულ რეცეპტორებზე [78,79]. ამ ჰორმონის მატება სისხლში იწვევს ინსულინის და ლეპტინების რაოდენობრივ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლიზმზე. სტრესული სიტუაციების შედეგად ხდება ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-თირკმელზედა ჯირკვლის (HPA) ფუნქციური ჯაჭვის დისრეგულაცია, რა დროსაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კორტიკოსტერონი (CORT), რასაც შესაძლო მოყვეს დეპრესიის მსგავსი სინდრომის განვითარება [80].

I.2.2 აზოტის ოქსიდი

აზოტის ოქსიდი, ქიმიური ფორმულით NO წარმოადგენს სისხლძარღვთა ტონუსის რეგულატორს. დღეისათვის მისი მნიშვნელობა ბიოლოგიასა და მედიცინაში ეჭვს არ იწვევს. აზოტის ოქსიდი არატიპიური სასიგნალო მოლეკულაა. უჯრედის ფუნქციური პასუხი NO-ს მოქმედებაზე სხვადასხვაგვარია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ სამიზნე უჯრედის ფენოტიპზე, არამედ NO-ს რაოდენობაზე უჯრედში, ასევე NO-სა და გარშემო არსებული მოლეკულების ჟანგვა-აღდგენით მდგომარეობაზე [81-87].

აზოტის ოქსიდი აქტიურად მონაწილეობს მრავალ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესში. NO უჯრედში სინთეზირდება L-არგინინისა და ჟანგბადისაგან აზოტის ოქსიდის სინთაზას (NO-S) მეშვეობით. რეაქცია მიმდინარეობს NADPH₂-ისა და O₂-ის თანაობისას, შედეგად კი მიიღება ციტრულინი, NADP⁺ და NO.


ცნობილია NOS-ს სამი იზოფორმა: ენდოთელური NOS (eNO-S, ტიპი III), ინდუცირებული NOS (iNO-S, ტიპი II) და ნეირონული NOS (nNO-S, ტიპი I). მათგან ორი, კერძოდ nNOS-ს და eNOS სტაციონარულია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქსოვილი, რომელთაც აქვთ NO-ს წარმოქმნის უნარი სხვადასხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დროს, შეიძლება შეიცავდეს NOS-ის ერთზე მეტ ფორმას [88-91].

აზოტის ოქსიდის სასიგნალო ფუნქციის განსახორციელებლად მოლეკულურ სამიზნეს წარმოადგენს ხსნადი გუანილატციკლაზა. აზოტის ოქსიდი ააქტივებს გუანილატციკლაზას ჰემში შემავალი რკინის დაკავშირებით, რასაც მოსდევს უჯრედში cGMP-ს შეცვლა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად NO-ს მიერ განხორციელებულ გლუვი კუნთის მოდუნებასა და ვაზოდილატაციას. თავის ტვინში იგი ააქტიურებს NMDA რეცეპტორს და აპროდუცირებს ნეიროტრანსმიტერს, რომელიც ახორციელებს სასუნთქი სისტემის, საშარდე გზების, გლუვი კუნთებისა და ნაწლავების რელაქსაციას [92].

NO-ს სამიზნეა ასევე ცილების შემადგენლობაში არსებული სულფჰიდრილური ჯგუფები, რომლებთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ნიტროზოთიოლი [93]. ნიტროზილირებული ჰემოგლობინი ბუნებრივი ტრანსპორტერია, რომელიც ქმნის NO-ს მარაგს [94]. გულის კუნთის უჯრედებში აზოტის ოქსიდი უკავშირდება მემბრანაში არსებული რიანოდინის რეცეპტორის HS- ჯგუფს და იწვევს მის გააქტივებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კალციუმის არხს [95].

ჭარბი რაოდენობით აზოტის ოქსიდის დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს მიტოქონდიის სუნთქვის ჯაჭვის I და IV კომპლექსების ინჰიბირება, რაც თავის მხრივ, უჯრედის ენერგეტიკული გამოფიტვის წინაპირობას წარმოადგენს [96].

მნიშვნელოვანია აზოტის ოქსიდის როლი ოქსიდაციური სტრესის მიმდინარეობისას. აზოტის ოქსიდი წარმოადგენს ანიონ-რადიკალს, თუმცა მისი ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი შედარებით სუსტია. სუპეროქსიდური ანიონ-რადიკალის თანაობისას, იგი ჯერ პროქსინიტრიტის რადიკალს, ხოლო შემდგომ ჰიდროქსილის რადიკალს წარმოქმნის:



ამ რეაქციის გამო, აზოტის ოქსიდი, რომელიც ფიზიოლოგიურ კონცენტრაციებში ნორმალურ მეტაბოლურ რეაქციებში იღებს მონაწილეობას, მაღალ კონცენტრაციებში

ხდება ტოქსიკური და უჯრედული კომპონენტების ნგრევას განაპირობებს. მაგალითად, მაგროფაგები უცხო უჯრედის დესტრუქციას აზოტის ოქსიდით და სუპეროქსიდ-რადიკალით იწვევენ. ამიტომ, აზოტის ოქსიდის დიდი რაოდენობის წარმოსაქმნელად იმუნურ უჯრედებს დამატებითი NO-სინთაზას ინდუცირებადი გენი გააჩნია [97].

eNOS მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლძარღვთა ფუნქციის რეგულირებაში, ჭარბი რაოდენობით მის მიერ NO-ს წარმოქმნამ შეიძლება გამოიწვიოს ათეროსკლეროზის განვითარება. დაზიანებულ ენდოთელიუმში ძლიერდება ზეჟანგური ჟანგვის პროცესები, კერძოდ ადგილი აქვს ოქსიდაციური სტრესის ჩამოყალიბებას და LDL-ის ჟანგვით მოდიფიკაციას [98].

I.2.3 ოქსიდაციური სტრესი და ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტი

I.2.3.1 ოქსიდაციური სტრესი და ჟანგბადის აქტიური ფორმები (ROS)

ცნობილია, რომ ნებისმიერი სტრესის შედეგად ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში იწყება საპასუხო რეაქციები, კერძოდ თავისუფალ-რადიკალური ჟანგვა, უჯრედშიდა კალციუმის რაოდენობრივი ცვლილებები, ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითება, და სხვა, რაც საბოლოოდ მთავრდება მთელი რიგი პათოლოგიების ჩამოყალიბებით [99]. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამ ფაქტორების გავლენის შესწავლას გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა ტიპის დაავადებების ფორმირების პროცესში [100].

უჯრედში გამუდმებით მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები, რომელიც საფუძვლად უდევს ქიმიური ენერჯის წარმოქმნას, რთული ციკლური აღნაგობის მქონე ნივთიერებების ბიოსინთეზას და მათ დეგრადაციას. ყოველ უჯრედს გააჩნია თავისი რედოქს-სტატუსი, რომელიც დამოკიდებულია ჟანგვითი და აღდგენითი რეაქციების ინტენსივობაზე [101]. ის ძირითად ნივთიერებები, რომლებიც განსაზღვრავენ უჯრედის ჟანგვა-აღდგენით სტატუსს შემდეგია: გლუტათიონი, NADH₂, და NADPH₂.

უჯრედში ჟანგვითი პოტენციალის მატებასა და მისი ჰომეოსტაზის გადანაცვლებას ჟანგვითი პროცესებისკენ, ოქსიდაციური სტრესი ეწოდება. დამჟანგავ და აღმდგენელ სისტემებში ბალანსის დარღვევა შეიძლება განპირობებული იქნას ჟანგბადის აქტიური ფორმების (ROS) ინტენსიური წარმოქმნით, ან ანტიოქსიდანტური სისტემების დეფიციტით. სხვადასხვა ტიპის ეგზოგენურმა სტრესმა შესაძლებელია უჯრედში ოქსიდაციური სტრესი გამოიწვიოს. ჟანგბადის მოხმარების მატება ასევე იწვევს დიდი რაოდენობით ზეჟანგური პროდუქტების წარმოქმნას. სხვადასხვა ქსენობიოტიკებმაც, განსაკუთრებით ანტიბიოტიკებმა, ციტოქრომ P450-ის გააქტივების შედეგად შეიძლება ოქსიდაციური სტრესი წარმოქმნას [102].

იმ შემთხვევაში, როდესაც ოქსიდაციური სტრესი უჯრედის სასიცოცხლო ფუნქციებზე მოქმედებს, მაგალითად იწვევს ცვლილებებს დნმ-ში მოლეკულაში, იგი შეუქცევადი და უჯრედისათვის ლეტალური ხდება. თუ ოქსიდაციური სტრესი ხანოკლეა, მაშინ ის შექცევად ხასიათს ატარებს. ამიტომ ანტიოქსიდანტური სისტემების აქტივობის ხანგრძლივი დაქვეითება, ან ქრონიკული ანთებითი პროცესები უჯრედის დაღუპვის მიზეზი ხდება.

ოქსიდაციური სტრესის ინიცირებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჟანგბადის აქტიური ფორმებს (ROS), რომელთა ბიოლოგიური ეფექტი, კონცენტრაციის შესაბამისად, შეიძლება იყოს რეგულატორული ან ტოქსიური. ROS მოიცავს, როგორც თვისუფალ რადიკალებს (O_2^- , OH^-) ასევე არარადიკალურ ფორმებს (მაგ. H_2O_2) [103].

ჟანგბადის აქტიური ფორმების წარმოქმნის ძირითად წყაროს უჯრედებში წარმოადგენს მიტოქონდრიები. ROS-ების რაოდენობა მატულობს ჟანგბადის გაძლიერებული მოწოდების ან მიტოქონდრიების სუნთვის ჯაჭვის მუშაობის დარღვევის შედეგად. მათი წარმოქმნის მიზეზი ასევე ხდება ენდოპლაზმურ რეტიკულუმში, პეროქსისომებსა და პლაზმურ მემბრანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი [104].

ფიზიოლოგიურ პირობებში ROS-ს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ჩართული არიან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოქმნისა და ბაქტერიებისა და ვირუსების გაუვნებელყოფის პროცესში, ასევე ნივთიერებათა ცვლაში

და სხვა მნიშვნელოვან პროცესებში. მცენარეულ და ცხოველურ უჯრედში დაბალ და საშუალო კონცენტრაციის პირობებში ასრულებენ მეორადი მესენჯერის როლს [105-107].

ROS-ინდუცირებული დნმ-ს ჟანგვითი პროცესები ყველაზე ხშირად იწვევს მუტაციების წარმოქმნას, რაც თავის მხრივ განაპირობებს გენომურ არასტაბილურობას და პირდაპირ უწყობს ხელს კარცინოგენეზის განვითარებას [108].

ლიტერატურიდან ცნობილია ROS-ის როლი აპოპტოზისა და ნეკროზის განვითარებაში. იგი აქტიურად მონაწილეობს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესში და ცვლის მემბრანის განვლადობას, რასაც საბოლოოდ მივყავართ ამ უკანასკნელის სტრუქტურულ რღვევამდე [109,110].

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჭარბი რაოდენობით ჟანგბადის აქტიური ფორმები (ROS) ინიცირებს ოქსიდაციური სტრესის განვითარებას, რომელიც მთავარ როლს ასრულებს დაბერების, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, სარქველოვანი დაზიანების, გულის უკმარისობის და სხვა დაავადებების პათოგენეზში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჟანგბადის აქტიური ფორმების ჭარბმა კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს უშუალოდ ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების ნორმალურ ფუნქციონირებაზე [111,112].

I.2.3.2. ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტი

ჭარბი რეაქციული ჟანგბადის გაუვნებელყოფისთვის უჯრედში ფუნქციონირებს ე.წ. ანტიოქსიდანტური სისტემა. ამ სისტემის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს ოქსიდაციური პროცესების შეფერხებას. ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირებაში ჩართულია მთელი რიგი ფერმენტული და არაფერმენტული, დაბალმოლეკულური ნაერთები, რომლებსაც ანტიოქსიდანტები ეწოდება. ოქსიდაციური და ანტიოქსიდაციური რეაქციების ერთობლივობა ორგანიზმში ქმნის ერთგვარ ფუნქციურ სისტემას, რომლის მოქმედების საბოლოო მიზანია უჯრედის ჰომეოსტაზის შენარჩუნება [113,114].

უჯრედში არსებული ანტიოქსიდანტური ფერმენტები რამდენიმეა, რომლებიც ქმნიან უჯრედის დაცვის გარკვეულ რგოლს. დაცვითი სისტემის პირველი რგოლი წარმოდგენილია ფერმენტით სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD). სოდ-ის დახმარებით უჯრედში არსებული სუპეროქსიდ რადიკალი (O_2^-) გადადის ელექტრონეიტრალურ ფორმაში - H_2O_2 , რომელიც შემდგომ ფერმენტ კატალაზას მეშვეობით შესაძლოა გარდაქმნას წყლად (H_2O) და თავისუფალ ჟანგბადად (O_2) ან გლუტათიონპეროქსიდაზას მოქმედებით წარმოქმნილი წყალბადის ზეჟანგიდან და აღდგენილი გლუტათიონიდან წარმოიქმნას წყლის მოლეკულა, რეაქციის შედეგად აღდგენილი აქვს გლუტათიონის დაჟანგვა. გარდა აღნიშნულისა წყალბადის ზეჟანგმა ნეიტრალური მოლეკულის სახით, შეიძლება დატოვოს უჯრედი [115,116].

გარდა ფერმენტული სისტემებისა, ციტოპლაზმაში არსებობს სხვადასხვა დაბალმოლეკულური ნივთიერებები, რომელთაც ასევე აქვთ ანტიოქსიდანტური თვისებები. ასეთებია ასკორბინის მჟავა, უბიქინონი, α -ტოკოფეროლი და სხვ. [117].

ა) სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD)

სუპეროქსიდდისმუტაზების ოჯახს მიეკუთვნება ფერმენტები, რომლებიც აკატალიზებს ROS-ის დისმუტაციის რეაქციას, რის შედეგად წარმოიქმნება მოლეკულური ჟანგბადი და წყალბადის ზეჟანგი [118]. ფერმენტი წარმოდგენილია ყველა უჯრედსა და აგრეთვე უჯრედგარე სითხეებში. მის შემადგენლობაში კოფერმენტების სახით გვხვდება სპილენძი, მაგნიუმი, თუთია ან რკინა. ფერმენტში მეტალის რაობა დამოკიდებულია ფერმენტის იზოენზიმურ ფორმებზე. მაგალითად, ადამიანებში სპილენძი/თუთიას შემცველი სუპეროქსიდდისმუტაზა წარმოდგენილია ციტოზოლში (SOD1), მაშინ როცა მაგნიუმის შემცველი SOD-ი გვხვდება მიტოქონდრიაში (SOD2) [119]. არსებობს მესამე ტიპის სოდ-ი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ექსტრაუჯრედულ სითხეებში, და კოფერმენტის სახით შეიცავს თუთიასა და სპილენძს (SOD3) [120].

ოქსიდაციური სტრესის ინტენსივობის გაზრდისას სუპეროქსიდდისმუტაზა ვეღარ ახორციელებს ROS-ის სწრაფ და ეფექტურ შებოჭვას, ამიტომ პორცესს შესაძლოა

მოყვეს უჯრედის აპოპტოზის ან ნეკროზი. SOD1-ის მუტაციამ და აქტივობის ცვლილება ხდება ისეთი პათოლოგიების ჩამოყალიბება, როგორცაა ამიოტრიფული ლატერალური სკლეროზი (მოტორული ნეირონების დაზიანება) და სხვ. დაუნის სინდრომისას ნეირონებში ნანახია SOD1 ზეექსპრესია [121]. ექსპერიმენტულად თავგებში ნანახია, რომ SOD3-ის რაოდენობრივი მატება იწვევს ჰიპერტენზიის განვითარებას [122].


SOD გამოიყენება ფარმაკოლოგიური მიზნებითაც, კერძოდ ქრონიკული ანთების დროს SOD-ის ინტრავენური შეყვანა იწვევს დაზიანებულ არეში ოქსიდაციური პროცესების ნორმალიზაციას, რაც გამოიხატება ანთების კერაში პროცესის ინტენსივობის დაქვეითებით [123].

ბ) კატალაზა

ფერმენტი კატალაზა წარმოადგენს ტეტრამერს და ნანახია თითქმის ყველა ცოცხალ ორგანიზმში. იგი გარდაქმნის წყალბადის ზეჟანგს წყლად და მოლეკულურ ჟანგბადად, რისთვისაც იყენებს რკინასა და მაგნიუმს, როგორც კოფაქტორებს. ეუკარიოტულ უჯრედებში ფერმენტი უმეტესად წარმოდგენილია პეროქსისომებში. კატალაზას აქტივობის დაქვეითება იწვევს ოქსიდაციური პროცესების გაძლიერებას [124]. ადამიანის ორგანიზმში კატალაზას მოქმედების ოპტიმალურ ტემპერატურას 45°C წარმოადგენს, თუმცა ტემპერატურაზე დამოკიდებულება ვარირებს სახეობათა მიხედვით [125]. ფერმენტის არარსებობისას ვითარდება ისეთი ტიპის აუტოსომურ-რეცესიული დაავადება, როგორცაა აკატალაზემია [126].


გ) გლუტათიონ პეროქსიდაზა (GPx) და გლუტათიონ რედუქტაზა (GR)

გლუტათიონ პეროქსიდაზა ბიოლოგიური როლი მდგომარეობს დაიცვას უჯრედი ჭარბი ჟანგვითი პროცესებისგან. იგი აკატალიზებს რეაქციას, რის შედეგადაც 2 მოლეკულა გლუტათიონისა (GSH) და წყალბადის პეროქსიდისაგან, მიიღება გლუტათიონის დისულფიდი (GSSG) და წყალი.



არსებობს გლუტათიონ პეროქსიდაზას რამოდენიმე იზოფორმა. ყველაზე გავრცელებულია გლუტათიონ პეროქსიდაზა 1 (GPx1), რომელიც ნანახია ყველა ცხოველურ ორგანიზმის ციტოპლაზმაში. GPx4 ცნობილია, როგორც ფოსფოლიპიდური ჰიდროპეროქსიდი, რომელიც პლაზმურ მემბრანასთანაა ასოცირებული. GPx2-ნანახია ნაწლავსა და ექსტრაცელულარულ არში, ხოლო GPx3 პლაზმაში, რომლის შემცირებულმა რაოდენობამ შესაძლოა დამოიწვიოს ვიტლიგოს განვითარება [127]. კვლევებით ნანახი იქნა, რომ გლუტათიონ პეროქსიდაზას, კატალაზასა და სუპეროქსიდდისმუტაზას აქტივობის შემცირება ზრდის გულის იშემიური დაავადების რისკს [128].

გლუტათიონ-რედუქტაზა აკატალიზებს დაჟანგული GSSG აღდგენას GSH-ად. აღნიშნული პროცესს, მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ოქსიდაციური სტრესის რეგულაციაში.



აღნიშნული ფერმენტი არის ჰომოდიმერული ფლავოპროტეინი. მისი მაკოდირებელი გენის მუტაცია იწვევს მემკვიდრეობით გლუტათიონ რედუქტაზას დეფიციტს, რაც კლინიკურად გამოიხატება ჰემოლიზური ანემიის განვითარებაში (ფავიზმი) [129].

ასეთი მძლავრი დაცვითი ანტიოქსიდანტური მექანიზმების არსებობის გამო რეაქციული ჟანგბადის შემცველი ნაერთები მიტოქონდრიაში შედარებით ნაკლები რაოდენობით წარმოიქმნება. მაგრამ საკმარისია კვების დეფიციტი, რათა ტოქსინების ან სხვა პათოგენური ზემოქმედების შედეგად სუნთქვითი ჯაჭვის მსვლელობა შეფერხდეს, რასაც მოსდევს ჟანგბადის არასრული აღდგენა და დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალების დაგროვება. ეს უკანასკნელი უპირველეს ყოვლისა, მიტოქონდრიებს აზიანებს, რითაც კიდევ უფრო მძიმდება დარღვეული მეტაბოლიზმი. ბუნებრივია, თუ გამაუვნებელმყოფელი სისტემების აქტივობა დაქვეითებულია, მიტოქონდრიების დაზიანება გარდაუვალია.

I.2.4 უჯრედის ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის დახასიათება

სტრესული სიტუაციების შედეგად სხვადასხვა პათოლოგიების განვითარება დაკავშირებულია უჯრედში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების დარღვევასთან. ცნობილია, რომ მეტაბოლური პროცესების ნორმალიზირებისათვის აუცილებელია უჯრედში ატფ-ის ოპტიმალური რაოდენობის არსებობა.

ნორმალურ პირობებში ატფ-ის 95% სინთეზირდება მიტოქონდრიაში ჟანგვითი ფოსფორილირების გზით. დარჩენილი 5% წარმოიქმნება გლიკოლიზის შედეგად [130,131]. წარმოქმნილი ენერჯის 60-70% იხარჯება გულის კუნთის შეკუმშვისთვის, ხოლო 30-40% კი ენერგოდამოკიდებული იონური არხების მუშაობისათვის, განსაკუთრებით Ca^{2+} -ატფ-აზა-ს ფუნქციონირებისათვის სარკოპლაზმურ რეტიკულუმში [132]. გულის კუნთის უჯრედების მეტაბოლიზმში ასევე დიდ როლს ასრულებს Cr/CK/PCr სისტემა, რომელიც სწრაფად და დინამიურად ადადგენს დახარჯული ატფ-ს დონეს უჯრედებში. სტრესული სიტუაციებისას ენერგეტიკული მეტაბოლიზმი ირღვევა, რაც გამოიხატება პროცესში მონაწილე ფერმენტების აქტივობის ცვლილებით, რისი მიზეზიც შესაძლოა იყოს სუბსტრატის რაოდენობრივი ცვლილებები ან თვით ფერმენტის მოდიფიკაცია. ასეთ სიტუაციებში უჯრედის უზრუნველყოფა ველარ ხდება საჭირო რაოდენობის ატფ-ით, ენერგეტიკული დონის დაცემა კი ხშირად უჯრედის აპოპტოზით ან ნეკროზით მთავრდება [133].

I.2.4.1. კრეატინფოსფოკინაზა

ცნობილია ფერმენტ კრეატინკინაზას რამდენიმე იზოფორმა. ფერმენტის მიტოქონდრიული იზოფორმა ლიკალიზირებულია მიტოქონდრიის მემბრანათაშორის სივრცეში და ახდენს ჟანგვითი ფოსფორილირების შედეგად სინთეზირებული ატფ-იდან კრეატინის ფოსფორილირებას და ფოსფოკრეატინის წარმოქმნას. ამ გზით მიღებული ფოსფოკრეატინი გარე მემბრანის გავლით მემბრანათაშორისი სივრციდან ციტოზოლში გადაადგილდება. ციტოზოლში განთავსებული ფერმენტის

ციტოზოლური იზოფორმები ფოსფოკრეატინის უკუ-ფოსფორილირებას აწარმოებს უჯრედის იმ უბნებში, სადაც ატფ-ს მოთხოვნა გაზრდილია. ერთ-ერთ ასეთ უბანს წარმოადგენს მემბრანული ატფ-აზები, რომლებსაც გამუდმებით ესაჭიროება ატფ-ის ენერჯია. ამ პროცესში გამონთავისუფლებული კრეატინი კვლავ მიტოქონდრიას უბრუნდება, სადაც ფერმენტის მიტოქონდრიული იზოფორმის მონაწილეობით ისევ მიმდინარეობს კრეატინის ფოსფორილირების პროცესი [134,135].

ცნობილია კრეატინკინაზას 3 იზოფორმა: CK-MM რომელიც უმეტესად კუნთებში გვხვდება, CK-BB თავის ტვინში და CK-MB გულის კუნთის უჯრედებში [136]. სხვადასხვა დაავადებისას (მიოკარდიუმის ინფარქტი, რაბდომიოლიზი, მიოზიტი და მიოკარდიტი) ფერმენტის რაოდენობრივ მომატებას სისხლში სადიაგნოსტიკო-კლინიკური მნიშვნელობა გააჩნია. კერძოდ, CK-MB-ს მატება მიანიშნებს უჯრედების დაზიანებაზე [137-139]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ენდოკრინული დარღვევებისას, ავთვისებიანი ჰიპერთერმიისა და ნეიროლევსიური სინდრომისასაც შესაძლოა გაზრდილი იყოს ფერმენტის რაოდენობა [140,141].

I.2.4.2. ალდოლაზა

ალდოლაზა გლიკოლიზის პროცესში ჩართული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფერმენტია, რომელიც ფრუქტოზო-1,6-დიფოსფატს გარდაქმნის გლიცერალდეჰიდ-3-ფოსფატად და დიჰიდროქსიაცეტონფოსფატად [142]. ცნობილია ფერმენტის სამი იზოფორმა (A,B,C).

ალდოლაზა A- ნანახია ემბრიონსა და მოზრდილი ადამიანის კუნთებში, ასევე ღვიძლში, თირკმელსა და ნაწლავებში. იგი ლოკალიზდება ციტოპლაზმაში, მაგრამ უჯრედული ციკლის S ფაზაში, დნმ-ის სინთეზისას, მას შეუძლია ბირთვშიც გადაინაცვლოს. ბირთვში მისი ლოკალიზაცია რეგულირდება პროტეინკინაზა B (PKB) და p38-ის მიერ. ალდოლაზა A შესაძლოა ლოკალიზებული იყოს მიტოქონდრიაშიც [143]. ფერმენტის აქტივობა რეგულირდება მეტაბოლიზმში მონაწილე სხვადასხვა სუნსტრატებით, მაგალითად გლუკოზით, ლაქტატითა და გლუტამინით [144].

აღდოლაზა A-ს მაკოდირებელი გენი განსაკუთრებული ინტენსივობით ექსპრესირდება სხვადასხვა სახის სიმსივნის დროს (მაგ. ფილტვის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა), რაც იწვევს გლიკოლიზის პროცესის გააქტიურებას და შესაბამისად, სიმსივნური უჯრედების ზომაში სწრაფ ზრდას. მისი გააქტიურება მიანიშნებს მეტასტაზების გავრცელებაზე, ხოლო დაქვეითება ამცირებს სიმსივნური უჯრედების გადაადგილებას. ასე რომ, აღდოლაზა A მიიჩნევა ფილტვის ბრტყელუჯრედიანი კარცინომის ერთგვარ მარკერად [145,146].

აღდოლაზა B უმეტესად ღვიძლში ლოკალიზირდება და მისი დეფიციტი მკვეთრად აფერხებს გლიკოლიზისა და გლუკონეოგენეზის მიმდინარეობას. ასევე, მისმა დეფიციტმა შესაძლოა გამოიწვიოს ფრუქტოზის აუტანლობა, რომელიც მემკვიდრეობით ხასიათს ატარებს [147].

აღდოლაზა C-ს ლოკალიზაციის ადგილს წარმოადგენს თავის ტვინი. ფერმენტი განსაკუთრებით აქტივდება შიზოფრენიის დროს, თავის ტვინის სიმსივნეებისა და ასევე ალცჰაიმერის დაავადებისას [148].

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სტრესის პირობებში მან შეიძლება განიცადოს სტრუქტურული მოდიფიკაცია, რის გამოც მისი აქტივობა მნიშვნელოვნად კლებულობს [149].

I.2.4.3. კრებსის ციკლის ზოგიერთი ფერმენტი

კრებსის ციკლი წარმოადგენს რთული ქიმიური რეაქციების ჯაჭვს, რომელიც მიმდინარეობს 8 სტადიად მიტოქონდრიულ მატრიქსში.

ციკლის პირველ ფერმენტს აკონიტაზა წარმოადგენს, რომელსაც ენერჯის პროდუქციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია, იგი წარმართავს იზომერიზაციის რეაქციას, რომლის შედეგად ციტრატიდან მიიღება იზოციტრატი. ფერმენტს სპეციფიური აგებულება გააჩნია, აქტიური ცენტრი წარმოდგენილია რკინა-გოგირდოვანი კლასტერით (Fe-S-ჯგუფი), რის გამოც იგი მგრძნობიარეა ჟანგბადის აქტიური რადიკალების მიმართ. ROS-ის მაღალი კონცენტრაციით არსებობისას ხდება ფერმენტის აქტიური ცენტრის ინაქტივაცია, რასაც ფერმენტის ინჰიბირება და

შესაბამისად, მეტაბოლიზმის პროცესი შეფერხება მოსდევს. გარდა აღნიშნულისა, აკონიტაზას ციტოზოლურ ფორმა ფუნქციონირებს, როგორც რკინა-დამაკავშირებელი ცილა (IRP) და მონაწილეობს რკინის ჰომეოსტაზში [150,151].

სუქცინატდეჰიდროგენაზა, ან სუქცინატ კოენზიმ Q რედუქტაზა წარმოადგენს სუნთქვის ჯაჭვისა და კრების ციკლის ფერმენტს, მოთავსებულია მიტოქონდრიის შიდა მემბრანაზე. მისი მეშვეობით ხორციელდება სუქცინატის დეჰიდრირება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფუმარატი (ფუმარის მჟავა). ფერმენტის პროსთეტულ ჯგუფს წარმოადგენს დაჟანგული FAD⁺, რომელიც რეაქციის მსვლელობისას წყალბადის ორ ატომს იკავშირებს და აღდგება FADH₂-მდე. ფერმენტული კომპლექსი წარმოდგენილია შემდეგი სუბერთეულებით: SdhA, SdhB, SdhC და SdhD. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ B, C და D სუბერთეულების მუტაცია განაპირობებს ოქსიდაციური სტრესის ინიცირებას [152,153].

ზემოთთქულიდან გამომდინარე, შემდგომ შესწავლილი იქნა ლზჟ-ის პროცესის ინტენსივობა გულის კუნთის ქსოვილის უჯრედებში ხანგრძლივი სოციალური იზოლაციისა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში. ამ პროცესის შესწავლა ხდებოდა ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტების მალონის დიალდეჰიდის და დიენური კონიუგატების რაოდენობრივი ცვლილების ფონზე. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 6 და 7.




სურათი 7. გულის კუნთის ქსოვილის მიტოქონდრიულ (A), ციტოზოლურ (B) ფრაქციებსა და სისხლის პლაზმაში (C) დიენური კონუგატების რაოდენობრივი ცვლილებები 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

ორდინატთა ღერძზე - დიენური კონუგატების კონცენტრაცია (მკმოლი/მგ ცილა), * $p \leq 0.05$

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ მალონის დიალდეჰიდის რაოდენობა სტრესირებული ინდივიდებში არათანაბრადაა შეცვლილი. კერძოდ, სტრესირებული ცხოველების გულის კუნთის ქსოვილის მიტოქონდრიულ ფრაქციაში მათი რაოდენობა დაახლოებით 23%-ით მატულობს, იმ დროს, როცა ციტოპლაზმაში რაოდენობრივი ცვლილებები არასარწმუნოა. რაც შეეხება სისხლის პლაზმას, აქ მალონის დიალდეჰიდის რაოდენობრივი მატება მხოლოდ 14%-ს შეადგენს. გაცილებით მკვეთრი მატება აღინიშნება დიენური კონიუგატების რაოდენობის მხრივ, კერძოდ მიტოქონდრიულ და ციტოზოლურ ფრაქციაში მათი რაოდენობა დაახლოებით 2,5-ჯერ მატულობს, თუმცა სისხლის პლაზმაში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა და დაახლოებით 30% შეადგენს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების გათვალისწინებით, შემდგომ ცდებში განსაზღვრული იქნა უშუალოდ თავისუფალი რადიკალების რაოდენობრივი შემცველობა. ამისათვის გამოყენებული იქნა როგორც სპექტროფოტომეტრიული, ასევე გამდინარე ციტომეტრიული მეთოდი. სპექტროფოტომეტრიული მეთოდით დაფიქსირდა ROS-ის დაახლოებით 44%-იანი ზრდა გულის კუნთის უჯრედებში, რაც მიუთითებს ქსოვილში ოქსიდაციური სტრესის ინიცირებაზე. თუმცა ანალოგიურმა ცდებმა სისხლში არ გამოავლინა ამ პარამეტრის სარწმუნო ცვლილებები (სურ.8).




სურათი 8. ჟანგბადის აქტიური რადიკალების საერთო რაოდენობრივი მაჩვენებელი ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30-დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატა ღერძზე - აქტიური რადიკალების საერთო შემცველობა (მკგრ/ლ), * $p \leq 0.05$*

ცნობილია, რომ სისხლში ROS-ების ერთ-ერთ სავარაუდო წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა უჯრედები, მათ შორის სისხლის მონონუკლეარული უჯრედებიც (PBMC), რომელიც, წარმოადგენს ლიმფოციტების, მონოციტების და დენდრიტული უჯრედების პოპულაციას და აქტიურადაა ჩართული ორგანიზმის უჯრედული იმუნიტეტის ფუნქციონირების პროცესში [244]. ამის გათვალისწინებით, საინტერესო იყო სტრესული პირობების მაგალითზე შეგვესწავლა ჟანგბადის აქტიური რადიკალებისა (ROS)

რაოდენობრივი ცვლილებები PBMC -ში გამდინარე ციტომეტრიული მეთოდით. ექსპერიმენტში გამოყენებული იქნა ორი სპეციფიკური საღებავი - დიქლორო-ფლუორისცინ დიცეტატი (DCF-DA) და დიჰიდროეთიდიუმი (DE). როგორც ცნობილია, DCF-DA გამოიყენება ROS-ების საერთო შემცველობის დასადგენად უჯრედში, ხოლო DE მიუთითებს უშუალოდ სუპეროქსიდ-რადიკალების რაოდენობაზე (სურ.9).



სურათი 9 . ჰისტოგრამაზე წარმოდგენილია ექპერიმენტული ჯგუფის პერიფერიული სისხლის მონოკლონური უჯრედების (PBMC) განაწილება *a) უჯრედები შეღებილია 2'-7'-დიქლორო-ფლუორისცინ დიცეტატით (DCF-DA) b) უჯრედები შეღებილია დიჰიდროეთიდიუმით*; თითოეული ჰისტოგრამა შედარებულია საკონტროლო ჯგუფის ჰისტოგრამასთან, რომელიც ნაჩვენებია ლურჯი კონტურის სახით. *აბსცისათა ღერძზე-ფლუორესცენციის ინტენსივობა, ორდინატთა ღერძზე-უჯრედთა რაოდენობა*

როგორც სურათი 9a და 9b-დან ჩანს, სტრესირებული ცხოველების PBMC-ში, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით, არ შეინიშნება ROS-ების რაოდენობის სარწმუნო ცვლილებები (MFI_{DCF-DA}: 300.33±14.85- contr. vs 283.01±41.24 - exp; MFI_{DE}: 17.83±2.26- exp vs. 20.18±1.83- contr.). მიღებული შედეგები ანალოგიურია სპეტროფოტომეტრიული მეთოდით მიღებული მონაცემებისა, სადაც ექსპერიმენტული ცხოველების სისხლში არ შეინიშნება ROS-ების რაოდენობის სარწმუნო მატება.

აღნიშნული ეფექტის მიზეზად შესაძლებელია განვიხილოთ ხანგრძლივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის ფონზე ჭარბი რაოდენობის მელატონინის არსებობა. ეს უკანასკნელი, როგორც ლიტერატურული მონაცემები მიუთითებენ, გამოირჩევა საკმაოდ მძლავრი ანტიოქსიდანტური თვისებებით. ხშირ შემთხვევაში მისი ანტიოქსიდანტური სიმძლავრე ისეთი ნაერთის სიძლიერეზე მეტია, როგორცაა ვიტამინი E, რომელიც როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთერთ მძლავრ ენდოგენურ ანტიოქსიდანტს [245,246]. სავარაუდოა, რომ ხანგრძლივი სტრესის ფონზე განვითარებული პროცესი გარკვეულწილად წარმოადგენს ორგანიზმისათვის ერთერთ დამცავ მექანიზმს, რომელიც აკომპენსირებს აღნიშნულ პირობებში მიმდინარე არასასურველ პროცესებს და საშუალებას აძლევს მას წინააღმდეგობა გაუწიოს სტრესულ ფაქტორებს და მინიმუმამდე შეამციროს ორგანიზმში დაწყებული პათოლოგიური პროცესები, რაც წარმოადგენს ორგანიზმის კონკრეტული სტრესისადმი ადაპტირების საშუალებას.


III.3. გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილებები ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში

როგორც ცნობილია, ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების ერთერთ წყაროს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის აქტივაცია (ლზჟ) წარმოადგენს. ეს პროცესი უჯრედში იწყება სხვადასხვა სახის სტრეს-ფაქტორების (ემოციური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სხვ.) ზემოქმედების შედეგად [247]. ჩვეულებრივ პირობებში, ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების (ROS) წარმოქმნა გარკვეული დოზით ყოველთვის მიმდინარეობს, ვინაიდან მისი დახმარებით ხდება უჯრედის დეგრადირებული მოლეკულების, მათ შორის ცილების, მთელი რიგი ფერმენტების, ნუკლეინის მჟავების, პათოგენური აგენტებისა და სხვათა დაშლა და აცილება. ROS-ების წარმოქმნის დამაბალანსებლად უჯრედში გვევლინება ანტიოქსიდანტური სისტემა. წონასწორობის


დარღვევა თავისუფალი რადიკალების წარმოქმნასა და ანტიოქსიდანტურ სისტემის აქტივობას შორის ე.წ. ოქსიდაციური სტრესის მიზეზი ხდება. ცნობილია, რომ სწორედ ოქსიდაციური სტრესია გულისა და სისხლძარღვების დაზიანების ძირითადი მოლეკულური მექანიზმი, რომელსაც მოსდევს ისეთი დაავადებები, როგორცაა გულის ქრონიკული უკმარისობა, ათეროსკლეროზი, ჰიპერლიპიდემია, არტერიული ჰიპერტენზია, კარდიომიოპათია და სხვ. [248].

ცნობილია, რომ ლიპიდები ზეჟანგური ჟანგვის პროდუქტები, ურთიერთქმედებს რა ცილოვან მოლეკულებთან და ნუკლეინის მჟავებთან, იწვევს მოლეკულათა შორისი ბმების წარმოქმნას. ამ გზით ხდება სხვადასხვა რეცეპტორების, იონური არხების, ციტოქრომჩხის ცილების, ფერმენტებისა და ნუკლეინის მჟავების სტრუქტურულული ცვლილებები, რაც უჯრედის ანტიოქსიდანტური სისტემისა და მასში ჩართული ფერმენტების აქტივობასაც ცვლის. უჯრედის ანტიოქსიდანტური სისტემა ეფექტურად რეაგირებს ამ ტიპის ჰომეოსტაზის შენარჩუნებისათვის. ეს სისტემა მრავალ კომპონენტია და მოიცავს მთელ რიგ ნაერთებსა და ფერმენტულ სისტემებს. მათგან აღსანიშნავია ფერმენტი სუპეროქსიდდისმუტაზა (SOD), კატალაზა, გლუტათიონ პეროქსიდაზა და გლუტათიონ რედუქტაზა, რომლებიც აკატალიზებენ ჟანგბადის აქტიური რადიკალების ჩართვას წყლისა და გლუტათიონის მოლეკულებში, რითაც ახდენენ ძლიერი დამჟანგავის, ამ შემთხვევაში, სუპეროქსიდის რადიკალის გაუვნებელყოფას. ამის გათვალისწინებით, შემდგომ შესწავლილი იყო მათი აქტივობის ცვლილების დინამიკა შესაბამისი სტრესის ფონზე [249].

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო შეგვესწავლა ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის ცვლილებები დღე-ღამური რიტმის დარღვევით და იზოლაციით განპირობებული სტრესის პირობებში, მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 10, 11, 12 და 13.




სურათი 10. სუპეროქსიდდისმუტაზასა ფერმენტული აქტივობის ცვლილებები ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში ორდინატა ლერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/მგ ცილა), * $p \leq 0.05$




სურათი 11. კატალაზას ფერმენტული აქტივობის ცვლილებები ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30 დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში ორდინატა ლერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/მგ ცილა), * $p \leq 0.05$

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ საკვლევი ფერმენტების აქტივობა სტრესულ პირობებში შემცირებულია, რასაც სავარაუდოდ უნდა იწვევდეს მათი ანტიოქსიდანტური ფუნქციის დაქვეითებასაც. კერძოდ, სოდ-ის აქტივობა გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლის პლაზმაში $\approx 23\%$ -ით კლებულობს (სურ.10). განსხვავებულად იცვლება კატალაზას აქტივობა. მაგალითად, ფერმენტის აქტივობა გულის კუნთის ქსოვილში 10% -ით არის შემცირებული, სისხლის პლაზმაში ეს მაჩვენებელი 18% -მდე აღწევს (სურ.11). რეც შეეხება გლუტათიონრედუქტაზასა და გლუტათიონპეროქსიდაზას, ამ შემთხვევაშიც შეინიშნება მათი აქტივობის ცვლილება, თუმცა სუპეროქსიდ დისმუტაზასა და კატალაზასგან განსხვავებით, ცვლილებები ნაკლებად არის მნიშვნელოვანი. მაგალითად, გულის კუნთის ქსოვილში გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა სტრესის ფონზე დაქვეითებულია $\approx 16\%$ -ით, იმ დროს, როცა სისხლის პლაზმაში ამ ფერმენტის ცვლილება არ დაფიქსირდა (სურ.12).



სურათი 12. გლუტათიონ რედუქტაზასა ფერმენტული აქტივობის ცვლილებები ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში
*ორდინატთა ღერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/მგ ცილა), * $p \leq 0.05$*



სურათი 13. გლუტათიონ პეროქსიდაზას ფერმენტული აქტივობის ცვლილებები ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) 30- დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში ორდინატა ლერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/მგ ცილა), * $p \leq 0.05$

ანალოგიური კანონზომიერებაა გლუტათიონპეროქსიდაზას შემთხვევაშიც. სტრესის ფონზე ნანახია ფერმენტის აქტივობის სარწმუნო შემცირება მხოლოდ სისხლის პლაზმაში ($\approx 15\%$), იმ დროს, როცა გულის კუნთის ქსოვილში ფერმენტული აქტივობის ცვლილება ვერ იქნა სარწმუნოდ დადასტურებული (სურ.13).

სავარაუდოა, რომ ანტიოქსიდანტური სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილე ფერმენტების აქტივობის შემცირების მიზეზი შესაძლებელია გამოწვეული იყოს ერთის მხრივ, უშუალოდ ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების სტრუქტურული ცვლილებებით, რომლის მიზეზი შესაძლებელია გამხდარიყო როგორც ჭარბი რადიკალების აზოტის ოქსიდი, ისე კალციუმის იონები.

III.4. გულის კუნთის ქსოვილში ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილება იზოლირებითა და დღე-ღამური რიტმის ცვლილებით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში


ყველა ცოცხალი უჯრედი, წარმოშობისა და ტიპის მიუხედავად, საჭიროებს ენერგიას სასიცოცხლო ფუნქციების განსახორციელებლად. ადენოზინტრიფოსფატი (ატფ) უჯრედული ენერჯის ძირითად წყაროს წარმოადგენს და მისი შიდაუჯრედული დონის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უამრავი უჯრედული პროცესის მიმდინარეობისთვის. ატფ-ის ჰომეოსტაზის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი უჯრედებისთვის, რომლებიც გამუდმებით მაღალ ენერჯიას საჭიროებენ, მაგალითად თავის ტვინისა და კუნთის უჯრედები. ხშირ შემთხვევაში აერობული, მიტოქონდრიალური მეტაბოლიზმის გზით მიღებული ატფ მაღალაქტიური უჯრედების ენერგეტიკულ მოთხოვნას აკმაყოფილებს, მაგრამ ენერჯიის განსაკუთრებულად გაზრდილი მოხმარებისას ან ენერჯიის დაქვეითებული წარმოებისას უჯრედი ვეღარ ასწრებს დახარჯული ატფ-ს ჩანაცვლებას. ასეთ შემთხვევებში ატფ-ს მარაგი იწურება და თუ მისი დროული აღდგენა არ მოხდა, უჯრედი ილუპება. ატფ-ის რაოდენობის მუდმივი შენარჩუნება უჯრედის მეტაბოლიზმის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. ატფ-ს მარაგის გამოლევა და უჯრედის ენერგეტიკული დონის დაცემა ხშირად უჯრედის აპოპტოზით ან ნეკროზით მთავრდება [250,251].

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საინტერესო იყო შეგვესწავლა სოციალური იზოლაციისა და ხანგრძლივი დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის ფონზე ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ცვლილების ხასიათი.

შესწავლილ ფერმენტებს შორის იყო ლიმონმჟავა ციკლის ფერმენტი აკონიტაზა (სურ.14 A). ცნობილია, რომ აკონიტაზას აქტიური ცენტრი წარმოდგენილია რკინა-გოგირდოვანი კლასტერით, რის გამოც იგი განსაკუთრებით მაღალ მგრძნობელობას ამჟღავნებს ჟანგბადის აქტიური ფორმების მიმართ და იგი შესაძლებელია გამოიყენებული იქნას, როგორც ოქსიდაციური სტრესის სპეციფიკური მარკერი.

როგორც სურათი 13-დან ჩანს, სტრესის 30-ე დღეს გულის კუნთის ქსოვილში მიტოქონდრიებში საკონტროლო ცხოველებთან შედარებით ფერმენტის აქტივობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული და ეს სიდიდე დაახლოებით $\approx 42\%$ -ითაა შემცირებული.


აკონიტაზასგან განსხვავებით, ამავე ციკლის ფერმენტი ფუმარაზა არ ამჟღავნებს მგრძობელობას დამჟანგავი ნივთიერებებისადმი და მისი აქტივობა სტრესის პერიოდში მცირედ კლებულობს (სურ. 14 B.). როგორც ცნობილია, ფუმარაზას მოლეკულისათვის არ არის დამახასიათებელი რკინა-გოგირდოვანი კლასტერების არსებობა და ამდენად, იგი არ ამჟღავნებს მგრძობელობას აქტიური დამჟანგავების მიმართ. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ლიმონმჟავა ციკლის მხოლოდ ერთი ფერმენტის აქტივობის ცვლილებაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ პროცესის მიმდინარეობასა და შესაბამისად, ატფ-ის რაოდენობაზე.



სურათი 14. მიტოქონდრიული აკონიტაზასა (A) და ფუმარაზას (B) აქტივობის ცვლილება ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილში ხანგრძლივი სოციალური სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში
*ორდინატთა ღერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/ მგ. ცილა), * $P \leq 0.05$*

შემდეგი ფერმენტი, რომელიც იქნა შესწავლილი, სუქცინატდეჰიდროგენაზაა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც სუნთქვის ჯაჭვის ფუნქციონირების პროცესში, ასევე მიტოქონდრიაში მიმდინარე ლიმონმჟავა ციკლში და ნებისმიერი სახის დეფიციტი

ამ ფერმენტისა განიხილება, როგორც სიცოცხლესთან შეუთავსებელი (სურ. 15). აღმოჩნდა, რომ ცხოველების 30-დღიანი იზოლირება ფერმენტულ აქტივობას დაახლოებით 13%-ით ამცირებს, რაც მიუთითებს მიტოქონდრიაში მიმდინარე ჟანგვითი ფოსფორილირების და შესაბამისად ატფ-ის გენერაციის შემცირებასა და ოქსიდაციური სტრესის გაძლიერებაზე.




სურათი 15. სუქცინატდეჰიდროგენაზას ფერმენტული აქტივობის ცვლილება გულის კუნთის ქსოვილში სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ღერძზე - ფერმენტული აქტივობა (U/მგ. ცილა), * $p \leq 0.05$*

ცნობილია, რომ გულის კუნთში მაღალი აქტივობით გამოირჩევა გლიკოლიზის პროცესი, რომელიც ენერჯის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. იმის გასარკვევად, თუ როგორ ფუნქციონირებს ასეთ პირობებში გულის კუნთის ქსოვილში ნახშირწყლების ანაერობული გარდაქმნა, შესწავლილი იქნა გლიკოლიზის ფერმენტის - ალდოლაზას აქტივობა. მიღებული მონაცემი წარმოდგენილია სურათზე 16. როგორც ვხედავთ, შესწავლილი სტრესის პირობებში ალდოლაზას აქტივობა საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით სარწმუნოდაა შემცირებული 40%. ზოგადად ცნობილია, რომ ჟანგვითი ფოსფორილირების ინტენსივობის მაკომპენსირებელ მექანიზმად ითვლება ანაერობული პროცესის, კერძოდ გლიკოლიზის ინტენსივობის გაძლიერება.


თუმცა ჩვენს შემთხვევაში ვერ იქნა ეს პროცესი ნანახი, რაც მიუთითებს ზოგადად, როგორც აერობული, ისე ანაერობული პროცესების დაქვეითების ფონზე ენერგეტიკული დისბალანსის განვითარებას და ატფ-ის რაოდენობრივ შემცირებას (სურ.17).



სურათი 16. ალდოლაზას აქტივობის ცვლილება გულის კუნთის ქსოვილში 30-დღიანი სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ღერძზე - ალდოლაზას ფერმენტული აქტივობა (U/მგცილა), * $p \leq 0.05$*

მართლაც, ატფ-ის რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრამ გულის კუნთის ქსოვილში ნათლად აჩვენა, რომ ამ უკანასკნელის რაოდენობა სოციალური იზოლაციისა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის შედეგად სარწმუნოდაა შემცირებული დაახლოებით 22%-ით (სურ. 16) .



სურათი 17. ატფ-ის რაოდენობრივი ცვლილებები გულის კუნთის ქსოვილში სოციალური იზოლაციითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის პირობებში
*ორდინატა ღერძზე - ატფ-ის შემცველობა გულის კუნთის ქსოვილში (pg/mg-ცილა),
 * $p < 0.05$*


ამრიგად, მიღებული შედეგებიდან იკვეთება, რომ ცხოველების იზოლირება და დღე-ღამური რიტმის დარღვევა წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც იწვევს გულის კუნთში ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითებას. სტრესის გახანგრძლივებამ უჯრედულ დონეზე შესაძლებელია შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს, რასაც თან მოჰყვება გულ-სისხლძარღვთა სისტემის რიგი პათოლოგიების ჩამოყალიბება.

III.5. კრეატინის რაოდენობრივი ცვლილებები ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში

ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული ენერგეტიკული მეტაბოლური გზები და მათ მიერ სინთეზირებული ატფ-ის რაოდენობა არ არის საკმარისი ჭარბი და ცვალებადი ენერჯის მომხმარებელი ქსოვილების (ჩონჩხისა და გულის კუნთი, ნერვული სისტემა) ენერგოსტაბილურობისათვის. უჯრედის ფუნქციონირების მნიშვნელოვან მეტაბოლურ რეგულატორად კი დღესდღეობით კრეატინი/კრეატინკინაზა/ფოსფოკრეატინული (Cr/CK/PCr) სისტემაა მიჩნეულია, რომლის მოშლა მთელი რიგი პათოლოგიის

განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ სისტემის ეფექტური მუშაობა ფერმენტ კრეატინფოსფოკინაზას მოქმედებაზეა დამოკიდებული და ხორციელდება კრეატინსა და ფოსფოკრეატინს შორის მიმდინარე ტრანსფოსფორირების საშუალებით. ასევე გასათვალისწინებელია ფერმენტის სუბსტრატების (Cr და PCr) შემცველობაც [252].


აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში შესწავლილი იქნა კრეატინისა და ფოსფოკრეატინის რაოდენობრივი შემცველობა გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლის პლაზმაში. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 18 და 19.



სურათი 18. კრეატინის რაოდენობრივი შემცველობა ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ღერძზე - კრეატინის შემცველობა (pg/mg ქსოვილი) * p<0.05*


როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან იკვეთება, სტრესის პირობებში სარწმუნოდაა დაქვეითებული როგორც კრეატინის, ასევე ფოსფოკრეატინის რაოდენობა. კერძოდ, კრეატინის კლება გულის კუნთის ქსოვილში შეადგენს დაახლოებით 33%-ს, ხოლო სისხლის პლაზმაში ეს მაჩვენებელი 56%-მდე მცირდება. ანალოგიურადაა დაქვეითებული ფოსფოკრეატინის შემცველობაც - გულის კუნთის ქსოვილში ფოსფოკრეატინი შემცირებულია დაახლოებით 12%-ით, იმ დროს, როცა ეს მაჩვენებელი სისხლში 52%-ს აღწევს.



სურათი 19. ფოსფოკრეატინის რაოდენობრივი შემცველობა ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლში (B) სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში

*ორდინატთა ლერძზე - კრეატინის შემცველობა (pg/mg ქსოვილი) * $p \leq 0.05$*

როგორც აღინიშნა, Cr/CK/PCr სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე ფერმენტი კრეატინკინაზა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, საინტერესო იყო შეგვესწავლა CK-MB-ს (კრეატინკინაზას იზოფორმა, რომელიც გულის კუნთშია წარმოდგენილი) აქტივობის ცვლილება სოციალური იზოლაციითა და ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესის ფონზე გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლის პლაზმაში. მიღებული მონაცემებიდან იკვეთება ფერმენტის აქტივობის დაქვეითება გულის კუნთის ქსოვილში (24%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის პლაზმაში არსებული საერთო კრეატინკინაზას აქტივობის სარწმუნო ცვლილება არ დაფიქსირდა (სურ.20).




სურათი 20. კრეატინკინაზას აქტივობის ცვლილება ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილსა (A) და სისხლის პლაზმაში (B) სოციალური იზოლაციისა და ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში
*ორდინატთა ღერძზე - ფერმენტული აქტივობა ($\mu\text{molPi/mg/წთ}$); * $p \leq 0.05$*

ამრიგად, ექსპერიმენტული მონაცემებიდან იკვეთება, რომ სოციალური იზოლაცია ბუნებრივი ცირკადული რიტმის დარღვევის ფონზე, ამცირებს გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში როგორც კრეატინის, ასევე ფოსფოკრეატინის რაოდენობრივ მაჩვენებელს, გარდა ამისა დაქვეითებულია მათი გარდამქმნელი ფერმენტის კრეატინკინაზას აქტივობაც. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო დაგვედგინა კრეატინის რაოდენობრივი კლების მიზეზი. ამისათვის საჭირო გახდა კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტების აქტივობის ცვლილების შესწავლა.

ცნობილია, რომ კრეატინი სინთეზირდება ამინომჟავა არგინინიდან და ეს პროცესი წარმოადგენს ორსაფეხურიან რეაქციას, რომელიც კატალიზირდება ორი ფერმენტით. ესენია *არგინინ-გლიცინ ამილინოტრანსფერაზას* (AGAT) და *გუანიდინო-აცეტატ მეთილტრანსფერაზა* (GAMT). ამ ფერმენტების მონაწილეობით კრეატინის სინთეზი იწყება თირკმელში, გრძელდება ღვიძლში, რის შემდგომაც სპეციალური მემბრანული ტრანსპორტერით (CRTR) გადაიტანება სისხლში და ნაწილდება მთლიან ორგანიზმში (თავის ტვინის გარდა). ამის გათვალისწინებით, განსაზღვრული იყო

ვითარდება თირკმელსა და ღვიძლში ამ ფერმენტების აქტივობა. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია სურათზე 21.




სურათი 21. AGAT-ისა (A) და GAMT (B)-ის აქტივობის ცვლილება ვითარდება ვითარდება ღვიძლისა და თირკმლის უჯრედებში სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დარღვევის ფონზე
ორდინატა ღერძზე -ფერმენტული აქტივობის სიდიდე (nmol/min per mg protein); $p < 0.05$;*

როგორც სურათიდან ჩანს, ფსიქო-ემოციური სტრესის ფონზე ადგილი აქვს ექსპერიმენტული ცხოველის თირკმლისა და ღვიძლის ქსოვილში კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტების AGAT- ისა და GAMT -ის აქტივობის სარწმუნო შემცირებას (სურ. 21 A, B). AGAT-ის აქტივობა სტრესირებული ცხოველების თირკმლის ქსოვილში დაახლოებით 32%-ით კლებულობს, ხოლო ღვიძლის ქსოვილში GAMT-ის აქტივობა 2-ჯერაა შემცირებული. ამ ფერმენტების აქტივობის შემცირების მიზეზად ლიტერატურულ წყაროებში სხვადასხვა პროცესი სახელდება, თუმცა ყველა მათგანში აღნიშნულია, რომ აქტივობის დაქვეითების ერთერთ მიზეზს აზოტის ოქსიდის (NO) რაოდენობრივი მატება წარმოადგენს, რაც უარყოფითად აისახება ამ პროცესზე [253,254].

მიღებული შედეგის გათვალისწინებით, საინტერესოს წარმოადგენდა შეგვესწავლა აღნიშნული ფერმენტების კინეტიკური პარამეტრების სიდიდეების, კერძოდ რეაქციის მაქსიმალური სიჩქარისა და მიხაელის-მენტენის კოეფიციენტის (V_{max} ,

Km) ცვლილების ხასიათი ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურათზე 22.




სურათი 22. კრეტინის მასინთეზირებელი ფერმენტების AGAT-ის (A) და GAMT-ის (B) კინეტიკური პარამეტრების ცვლილება სოციალური იზოლაციით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში

სურათიდან ჩანს, რომ სინთეზური რეაქციის პირველი ფერმენტის AGAT-ის აქტივობის დაქვეითების სავარაუდო მიზეზი იყოს ფერმენტის მოლეკულის სტრუქტურული ცვლილება, რომელიც განპირობებულია ფსიქო-ემოციური სტრესის ფონზე განვითარებული სხვადასხვა პროცესებით, მათ შორის სახელდება როგორც NO- ს რაოდენობრივი მატება, ასევე გლუკოკორტიკოიდული ჰორმონების რაოდენობრივი ცვლილებები, კერძოდ ამ ჰორმონების შემცირება [255]. როგორც სურათი A-დან ჩანს, ფერმენტული აქტივობის შემცირება მიმდინარეობს ფერმენტის სუბსტრატისადმი (არგინინის) თვისობის შეუცვლელად, რის შედეგადაც ადგილი აქვს ფერმენტული რეაქციის პროდუქტის გუანიდინოაცეტატის (GAA) შემცირებას.

რაც შეეხება GAMT-ს, ცნობილია, რომ იგი აკატალიზირებს მეთილის ჯგუფის ტრანსფერულ რეაქციას GAA-სა და S-ადენოზილმეთიონინს (SAM) შორის. ამდენად, სუბსტრატებიდან ერთერთის, ამ შემთხვევაში GAA-ის შემცირება აუცილებლად აისახება ფერმენტის კინეტიკური პარამეტრების სიდიდეებზე. მართლაც, როგორც სურათი B-ზე წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, GAMT-ის აქტივობის დაქვეითება მიმდინარეობს როგორც V_{max} -ის, ასევე K_m -სიდიდის ცვლილების პირობებში, კერძოდ

Km-მაჩვენებლის შემცირება, რაც მიუთითებს ფერმენტის მოლეკულის თვისობის გაზრდას სუბსტრატისადმი (GAA), რაც ნიშნავს რეაქციის მიმდინარეობას ფერმენტის სუბსტრატის შემცირებული რაოდენობის პირობებში.

ფერმენტების აქტივობის შესწავლის პარალელურად, ექსპერიმენტული ცხოველები გულის კუნთის ქსოვილში განსაზღვრული იქნა ასევე კრეატინის ტრანსპორტერის რაოდენობაც (CrT). თუმცა სარწმუნო განსხვავება ტრანსპორტერის რაოდენობებს შორის არ დაფიქსირდა (სურ. 23).




სურათი 23. კრეატინის ტრანსპორტერის (CrT) რაოდენობრივი ცვლილება ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილში სოციალური იზოლაციისა და ცირკადული რიტმის დარღვევის ფონზე
ორდინატთა ღერძზე - კრეატინის ტრანსპორტერის რაოდენობა (pg/mg ქსოვილი)

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს წინა მონაცემებს ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში აზოტის ჟანგის რაოდენობრივი მატების შესახებ და ასევე მის გავლენას კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტების აქტივობაზე, სავარაუდოა, რომ ორგანიზმში კრეატინის რაოდენობრივი შემცირების მიზეზი იზოლირებითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში, სწორედ ეს ფაქტორი გამხდარიყო.

III.6. ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინის გავლენა გულის კუნთის ენერგეტიკულ მეტაბოლიზმსა და სისხლის ლიპიდურ სპექტრზე

იქიდან გამომდინარე, რომ ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში აღინიშნა გულის კუნთის ქსოვილში ენერგეტიკული მეტაბოლიზმის დაქვეითება, რომელიც მიმდინარეობს კრეატინის რაოდენობრივი შემცირების ფონზე, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა ექსპერიმენტები, სადაც შეისწავლებოდა კრეატინის პრევენციული ეფექტი ამ პროცესზე. ამისათვის ექსპერიმენტულ ცხოველების ორგანიზმში ხანგრძლივი დროის მანძილზე (30 დღე) ინტრაპერიტონიალურად შეგვყავდ კრეატინი, რის შემდეგაც ვსწავლობდით გულის კუნთის ქსოვილში როგორც მის შემცველობას, ასევე მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტების აქტივობას.


როგორც ექსპერიმენტებმა აჩვენა, კრეატინის 30-დღიანი ინტრაპერიტონეალური შეყვანა ექსპერიმენტულ ცხოველებში იწვევდა მისი საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას როგორც გულის კუნთში, ასევე სისხლში (სურათი 24).




სურათი 24. კრეატინის რაოდენობრივი მაჩვენებელი გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლის პლაზმაში მისი ხანგრძლივი დროით ეგზოგენურად შეყვანის ფონზე ორდინატთა ღერძზე - კრეატინის რაოდენობრივი მაჩვენებელი (pg/L); * $p \leq 0.05$, ** $p \leq 0.01$

ანალოგიურად იქნა განსაზღვრული გულის კუნთის ქსოვილში ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ის ფერმენტები, რომელთა აქტივობის დაქვეითება ნანახი იქნა ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრეატინის ინტრაპერიტონეალურმა მიწოდებამ დადებითი გავლენა იქონია აღნიშნული ფერმენტების აქტივობაზე (სურათი 25 და 26).

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებენ, კრეატინის ხანგრძლივი დროით ინტრაპერიტონეალური შეყვანა მაღლა სწევს მის შემცველობას როგორც გულის კუნთის ქსოვილში, ასევე ზრდის ამ უჯრედების ენერგეტიკულ შესაძლებლობებს.



სურათი 25. გულის კუნთის ქსოვილში მიმდინარე ენერგეტიკული მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტების (აკონიტაზა და ფუმარაზა) აქტივობის მაჩვენებელი კრეატინის ხანგრძლივი დროით ეგზოგენურად შეყვანის ფონზე ორდინატთა ღერძზე - კრეატინის რაოდენობრივი მაჩვენებელი (U/მგ.ცილა); * $p \leq 0.05$, ** $p \leq 0.01$



სურათი 26. თეთრი ვირთაგვას გულის კუნთის ქსოვილში მიმდინარე ენერგეტიკული მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტების (სუქცინატდეჰიდროგენაზასა და აკონიტაზას) აქტივობის მაჩვენებელი კრეატინის ხანგრძლივი დროით ეგზოგენურად შეყვანის ფონზე

*ორდინატთა ლერძზე - კრეატინის რაოდენობრივი მაჩვენებელი (U/მგ-ცილა); * $p < 0.05$, ** $p < 0.01$*


ცნობილია, რომ კრეატინი ხშირად გამოიყენება როგორც საკვები დანამატი განსაკუთრებით იმ პირების მიერ, რომლებსაც დიდი ფიზიკური დატვირთვა აქვთ და საჭიროებენ ენერჯის დიდი რაოდენობით მოხმარებას, გასაკუთრებით სპორტსმენების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ კრეატინი წარმოადგენს ბუნებრივ საკვებ დანამატს, მის მიღებას გარკვეული სპეციფიკა გააჩნია. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ კრეატინი წარმოადგენს ამინომჟავას, რომელსაც ყველა ის თვისება გააჩნია, რაც დამახასიათებელია მჟავებისათვის, კერძოდ, მისი ხანგრძლივი მიღება იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას და იმ პირებისათვის, ვინც დაავადებულები არიან ასევე ქრონიკული გასტრიტით და წყლულოვანი დაავადებებით, კრეატინის მიღება აკრძალულია. იგი ასევე მიუღებელია იმ პაციენტებისათვის, რომლებიც უჩივიან თირკმლის დაავადებებს, დიაბეტს და სხვა ქრონიკულ პათოლოგიებს [256].

კრეატინის ხანგრძლივი მიღება ხდება ჰიპერტენზიის მიზეზიც (ვინაიდან იწყება ორგანიზმის გაჯერება წყლით, რაც დამატებითი დატვირთვაა გულისათვის), ასევე ხშირ შემთხვევაში აღინიშნება კუნთების კრუნჩხვები, რისი მიზეზიც ხდება ორგანიზმში არსებული ჭარბი წყლით კალიუმის იონის ორგანიზმიდან გამოდევნა/

ლიტარატურიდან ასევე ცნობილია, რომ კრეატინის ხანგრძლივი დროით მიღება მაღალა სწევს ორგანიზმის აგრესიულობის ხარისხსაც [257].

მიუხედავად ეგზოგენური კრეატინის ეფექტების საკმაოდ ფართო შესწავლისა უჯრედში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე და მისი პრევენციული როლის დადგენისა, ნაკლებადაა გამორკვეული კრეატინის ხანგრძლივი დროით მიღების მნიშვნელობა სისხლის ლიპიდურ შემცველობაზე, თითქმის არ არის ცნობილი, თუ რამდენად და როგორი მიმართულებით ცვლის ეს დანამატი სისხლის ლიპიდურ სპექტრს და რა სახის პათოლოგია შეიძლება განვითარდეს ორგანიზმში.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ცდების შემდგომ ეტაპზე შესწავლილი იქნა იზოლირებისა და ცირკადული რიტმის დარღვევის პირობებში სისხლში საერთო ლიპიდების რაოდენობრივი შემცველობის დინამიკა სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურათი 27.




სურათი 27. სისხლის პლაზმაში საერთო ლიპიდების რაოდენობრივი ცვლილებების (მგ/მლ) დინამიკა იზოლირებითა და ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში

როგორც მონაცემები მიუთითებენ, სტრესის განვითარების პარალელურად, სისხლში ადგილი აქვს საერთო ლიპიდების რაოდენობის მატებას. მაგალითად, სტრესის 30-ე დღეს ლიპიდების შემცველობა საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით 2-ჯერაა მომატებული.

როგორც ცნობილია, დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ძირითადად ლიპიდების ორ წარმომადგენელს გააჩნია. ესენია ქოლესტერინი და ტრიგლიცერიდები. ამის გათვალისწინებით, შემდგომში შესწავლილი იქნა სწორედ ლიპიდური სპექტრის ამ ორი წარმომადგენლის რაოდენობრივი ცვლილებები კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების ფონზე.

ცნობილია, რომ ქოლესტერინი გარკვეული რაოდენობით აუცილებელია ორგანიზმისათვის იქიდან გამომდინარე, რომ იგი ლიპიდური ცვლის ერთერთი ძირითადი კომპონენტია. ამავე დროს, მისგან სინთეზირდება ნაღვლის მჟავები, სტეროიდული ჰორმონები, ვიტამინები და ა.შ. იგი ასევე გამაოიყენება უჯრედების მიერ როგორც მემბრანის საშენი მასალა და სხვ. ზოგადად, საერთო ქოლესტერინის მომატებული დონე მიუთითებს ცხიმოვანი ცვლის მოშლაზე. ჩვენს მიერ მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურათზე 28.

როგორც სურათი 28A-დან ჩანს, საკონტროლო ცხოველებში ლიპიდების საერთო რაოდენობის პარალელურად, გაზრდილია ასევე ქოლესტერინის შემცველობაც. თავის მხრივ, კრეატინის ხანგრძლივი დროით მიღება დაახლოებით 35%-ით ზრდის სისხლში საერთო ქოლესტერინის შემცველობას საკონტროლო ცხოველებში. ანალოგიური სურათია სტრესირებული ვირთაგვების შემთხვევაშიც (სურ. 28B). თუმცა აღმოჩნდა, რომ ქოლესტერინის მატება პროცენტულად უფრო მაღალია სტრესირებული ცხოველების შემთხვევაში და შეადგენს დაახლოებით 73%-ს. ზოგადად, ამგვარი ცვლილება სისხლში მიგვანიშნებს ორგანიზმში დისლიპიდემიის განვითარებაზე.




სურათი 28. ქოლესტერინის რაოდენობრივი შემცველობა საკონტროლო (A) და სტრესირებული (B) ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების პირობებში

*ორდინატა ღერძზე - ქოლესტერინის შემცველობა (მმოლი/ლ); * $p \leq 0.05$; ** $p \leq 0.01$*

ტრიგლიცერიდები, იგივე ტრიაცილგლიცეროლები, ქოლესტერინთან ერთად მიეკუთვნება ლიპიდების კლასს. მისი ძირითადი დანიშნულებაა უჯრედის მომარაგება ენერგიითა და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავებით, რომლებიც ლიპოლიზის ხარჯზე გამოთავისუფლდება. ქოლესტერინის ანალოგიურად, ტრიგლიცერიდების დონის მატება ასევე ხელს უწყობს ათეროსკლეროზული პროცესების განვითარებას და ზრდის გულ – სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკს [258].

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ქოლესტერინისაგან განსხვავებით, ტრიგლიცერიდების შემცველობა კრეატინის ხანგრძლივი დროით შეყვანის პირობებში საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში არ იცვლება. თუმცა განსხვავებული სურათია სტრესირებული ცხოველების შემთხვევაში (სურ. 29). როგორც სურათიდან ჩანს, სტრესირებული ცხოველების სისხლში კრეატინის მიღების პირობებში ტრიგლიცერიდების კონცენტრაცია დაახლოებით 20%-ითაა მომატებული .




სურათი 29. ტრიგლიცერიდების რაოდენობრივი შემცველობა საკონტროლო (A) და სტრესირებული (B) ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების პირობებში

*ორდინატა ღერძზე - ტრიგლიცერიდების შემცველობა (მმოლი/ლ); * $p \leq 0.05$; ** $p \leq 0.01$*

როგორც ცნობილია, ძუძუმწოვრების ორგანიზმში ლიპიდების ტრანსპორტირებასა და მათ შემდგომ მეტაბოლიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ლიპოპროტეინებს, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ცვლილება ხშირ შემთხვევებში გარკვეული პათოლოგიური პროცესის მიზეზი ხდება. მხოლოდ ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების განსაზღვრით ვერ ვისაუბრებთ დისლიპიდემიაზე, ამისათვის აუცილებელია ისეთი ლიპოპროტეინული კომპლექსების რაოდენობრივი განსაზღვრა, როგორცაა მაღალი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები. ცნობილია, რომ ორგანიზმისათვის განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს დსლპ-ის რაოდენობრივი მატება, რომელიც წარმოადგენს ე.წ. „ცუდი“ ქოლესტერინის მატრანსპორტირებელ საშუალებას ორგანიზმში, რომელიც აწარმოებს ღვიძლიდან ქოლესტერინის ტრანსპორტირებას პერიფერიულ ქსოვილში, ხოლო მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებით (მსლპ) ხდება საკვებით მიღებული ლიპიდების და მათ შორის ე.წ. „კარგი“ ქოლესტერინის გადატანა ღვიძლში, სადაც მიმდინარეობს მათი შემდგომი გარდაქმნა. ამდენად, მისი რაოდენობრივი მაჩვენებლის

კლება ისეთი დაავადებების რისკის შემცველია, როგორცაა ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადებები და სხვა [259].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცდების შემდგომ ეტაპზე შესწავლილი იქნა კრეატინის შეყვანის ფონზე ვირთაგვას სისხლში ლიპოპროტეინების, კერძოდ დაბალი სიმკვრივისა (დსლპ) და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (მსლპ) რაოდენობრივი შემცველობა.




სურათი 30. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივი შემცველობა საკონტროლო (A) და სტრესირებული (B) ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების პირობებში

*ორდინატა ღერძზე - მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობა (მმოლი/ლ); * $p \leq 0.05$*

როგორც სურათი 30-დან ჩანს, რომ ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებში, საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით სტრესირებული ცხოველების სისხლში ადგილი აქვს მსლპ-ის რაოდენობის სარწმუნო შემცირებას (25%). ამავე დროს, ეგზოგენური კრეატინის ორგანიზმში შეყვანა, თავის მხრივ, სარწმუნოდ ამცირებს მათ რაოდენობრივ შემცველობას ორივე ჯგუფის ცხოველებში და შემცირების ხარისხი პროცენტულად უფრო მაღალია სტრესირებულ ცხოველებში (14% და 33% შესაბამისად).

ცნობილია, რომ მსლპ-ის რაოდენობრივი შემცირების მიზეზს რამდენიმე ფაქტორი წარმოადგენს და მათ შორის ერთერთი ძირითადია ორგანიზმზე სტრესული

ფაქტორების ზემოქმედება. როგორც ჩატარებული ექსპერიმენტებიდან იკვეთება, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მათი რაოდენობრივი ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია სტრესულ სიტუაციაში მოხვედრილ ცხოველებში.



სურათი 31. დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივი შემცველობა საკონტროლო (A) და სტრესირებული (B) ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინით ხანგრძლივი კვების პირობებში
ორდინატთა ლერძზე - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობა (მმოლი/ლ);
** $p \leq 0.05$, ** $p \leq 0.01$*


მსლპ-ის შესწავლის პარალელურად, დადგენილი იქნა ასევე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივი ცვლილებებიც. მიღებულმა მონაცემებმა დაადასტურეს კრეატინის ხანგრძლივი მიღების უარყოფითი შედეგი სისხლში ლიპიდური სპექტრის ცვლილებაზე. აღმოჩნდა, რომ კრეატინის ხანგრძლივი შეყვანა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მსლპ-ის რაოდენობაზე და იწვევს მათი რაოდენობის მატებას, რაც თავის მხრივ, პირდაპირ აისახება გულ-სისხლძარღვთა სისტემის საშიში პათოლოგიები ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურათზე 31. საიდანაც ჩანს, რომ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების მატება აღინიშნება ორ შემთხვევაში, კერძოდ მათი რაოდენობა სარწმუნოდაა გაზრდილი სტრესულ სიტუაციაში მოხვედრილი ექსპერიმენტული

ცხოველების სისხლში საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით და ასევე კრეატინის შეყვანის ფონზეც, როგორც საკონტროლო, ასევე სტრესირებული ვირთაგვების სისხლში.

იზოლირებითა და ცირკადული რიტმის დარღვევით გამოწვეული სტრესი, თავის მხრივ, იწვევს დსლპ-ის შემცველობის სარწმუნო მატებას დაახლოებით 30%-ით. ეს მაჩვენებელი საგრძნობლადაა გაზრდილი ცხოველებში, სადაც ხანგრძლივად ხდებოდა ეგზოგენური კრეატინის შეყვანა. სურათიდან ჩანს, რომ ჩვენს მიერ შესწავლილ სტრესულ პირობებში კრეატინის დამატებითი ეგზოგენური მიწოდება დაახლოებით 44%-ით ზრდის დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობას და ეს მაჩვენებელი ასევე გაზრდილია ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში მოხვედრილი ვირთაგვებშიც (35%).

როდესაც ვსაუბრობთ ლიპიდური სპექტრის დარღვევებით გამოწვეულ დაავადებების განვითარების რისკზე, მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ კიდევ ერთი პარამეტრის არსებობა, საუბარია დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებზე. როგორც ცნობილია, უჯრედში მიმდინარე ოქსიდაციური სტრესის შედეგად წარმოიქმნება დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალები, რომლების ადვილად ურთიერთქმედებენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებთან და წარმოქმნიან მის დაჟანგულ ფორმას, ე.წ. დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებს (oxLDL), რომელიც ადვილად გაივლის არტერიის (უფრო ხშირად კორონარული ან საძილე არტერიები) ენდოთელიუმში და იწვევს ანთებით პროცესების პროვოცირებას, რასაც მოსდევს მაკროფაგების მობილიზება, თრომბოციტების, ქოლესტეროლის და სხვა ლიპიდების ადჰეზია დაზიანების არეში. დროთა განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ იზღუდება სისხლის მიმოქცევა სისხლძარღვში, რასაც საბოლოოდ მიყვავართ ათეროსკლეროზის ჩამოყალიბებამდე, რაც ზრდის გულის შეტევის და ინსულტის რისკს [260].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივი შემცველობა ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების პირობებში. მიღებული შედეგები წარმოდგენილია სურათზე 32.



სურათი 32. დაჟანგული დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებს (oxLDL) რაოდენობრივი ცვლილებები საკონტროლო (A) და სტრესირებული (B) ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კრეატინის ხანგრძლივი მიწოდების პირობებში
ორდინატთა ლერძზე - დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცველობა (მმოლი/ლ);

როგორც მიღებული მონაცემები მიუთითებენ, არ დაფიქსირდა სარწმუნო განსხვავება საკონტროლო და სტრესირებული ცხოველების სისხლში oxLDL-ის რაოდენობრივ შემცველობას შორის.

ამ ტიპის ცვლილებების მიზეზად შესაძლებელია განვიხილოთ ხანგრძლივი სოციალური იზოლირებისა და დღე-ღამური დარღვევის პირობებში სისხლში საერთო ROS-ის არასარწმუნო მატება, რომლის მიზეზს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოადგენს სისხლში ისეთი მძლავრი ანტიოქსიდანტის ჭარბი რაოდენობა, როგორიცაა მელატონინი [261,262].

იმ რისკების დასადგენად, რომელიც შესაძლებელია მოყვეს როგორც ქოლესტერინის, ასევე სხვადასხვა სიმკვრივის ლიპოპროტეინების არაპროგნოზირებად ცვლილებებს ცხოველების სისხლში სტრესის ფონზე კრეატინის შეყვანის პირობებში, ჩვენს მიერ დათვლილი იქნა ე.წ. *ათეროგენულობის კოეფიციენტი*, რომელიც ფართოდ გამოიყენება კლინიკურ დიაგნოსტიკაში და ადგენს იმ რისკების ალბათობას, რაც ამ ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს.

ათეროგენულობის კოეფიციენტი = (საერთო ქოლესტერინი - მსლპ)/მსლპ

ათეროგენულობის კოეფიციენტების დათვლამ მოგვცა ნათელი სურათი იმისა, თუ რა რისკების მატარებელია ეგზოგენური კრეატინის ხანგრძლივი შეყვანა ორგანიზმში. მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2.

სისხლის ათეროგენულობის კოეფიციენტი კრეატინის ხანგრძლივი კვების პირობებში

ფიზიოლოგიური მდგომარეობა	კრეატინის შეყვანამდე	კრეატინის შეყვანის პირობებში
საკონტროლო ცხოველები	0.430	0.790
სტრესირებული ცხოველები	0.970	1.990

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, სტრესულ პირობებში შეინიშნება ათეროგენულობის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ასევე დამახასიათებელია კრეატინის ეგზოგენურად შეყვანის პირობებში.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ნათლად იკვეთება შემდეგი შედეგები. კერძოდ, კრეატინის ეგზოგენური შეყვანა ორგანიზმში, მიუხედავად მისი აქტიური ჩართულობისა ენერგეტიკულ მეტაბოლიზმში, გარკვეული რისკების მატარებელია, რაც გამოიხატება ორგანიზმის სისხლში ლიპიდური სპექტრის უარყოფითი ცვლილებებით. ეს უკანასკნელი გულისხმობს ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივ ზრდას და ამის პარალელურად, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობის შემცირებას. ამის ფონზე აშკარად იკვეთება ათეროგენულობის კოეფიციენტების მატებაც, რაც ზრდის ისეთი დაავადებების რისკების ალბათობას, როგორცაა ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება და სხვა კარდიოვასკულარული პათოლოგიები. ანალოგიური სურათია მიღებული იზოლაციითა და დღე-ღამური რიტმის დარღვევით გამოწვეული ფსიქო-ემოციური სტრესის პირობებშიც, თუმცა კრეატინის დამატების გარეშე ეს მახასიათებლები მნიშვნელოვნად მცირეა.

მიღებული შედეგების მოკლე მიმოხილვა

მიღებული მონაცემების შეჯერების შედეგად შესაძლოა გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი შედეგი. კერძოდ:

1. თეთრი ვირთაგვას 30-დღიანი სოციალური იზოლაცია, რომელიც მიმდინარეობს ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის ფონზე, ხასიათდება გულის კუნთის ქსოვილსა და სისხლში ლოჟ-ს პროდუქტთა რაოდენობრივი მატებითა და ანტიოქსიდანტური სისტემის ფერმენტების აქტივობის შემცირებით. ამ პროცესს თან ერთვის NO-სა და Ca^{2+} -ის იონის, როგორც სასიგნალო მოლეკულების რაოდენობრივი ცვლილებები, რაც იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ პირობებში გულის კუნთის ქსოვილში იწყება თავისუფალ-რადიკალური ჟანგვითი პროცესების გააქტივება, რაც ოქსიდაციური სტრესის განვითარების მაჩვენებელია. ამ ტიპის ცვლილებები არ აღინიშნება სტრესირებული ცხოველების სისხლში, რაც სავარაუდოდ, ჭარბი მელატონინის, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტის მოქმედების შედეგია.
2. გულის კუნთის ქსოვილში ოქსიდაციური სტრესის განვითარების ფონზე აღინიშნება ცვლილებები ენერგეტიკულ მეტაბოლიზმშიც. კერძოდ, დაქვეითებულია როგორც აერობული გლიკოლიზის, ასევე კრებსის ციკლის ფერმენტების აქტივობა, რაც ატფ-ის გენერაციისა და ზოგადად, უჯრედში ენერგოდეფიციტის ნიშანია.
3. გულის კუნთის ქსოვილში მიმდინარე ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ცვლილებაზე მიუთითებს ფერმენტ კრეატინკინაზას აქტივობის დაქვეითება, რომელიც, როგორც ცნობილია, აქტიურადაა ჩართული უჯრედში მიმდინარე ენერგეტიკულ პროცესებში. ფერმენტის აქტივობის ცვლილების მიზეზად განიხილება კრეატინისა და ფოსფოკრეატინის რაოდენობრივი კლება. ექსპერიმენტულად ნანახია, რომ ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია, რომელიც მიმდინარეობს დღე-ღამური რიტმის დარღვევის პირობებში, ხასიათდება ენდოგენური კრეატინის მასინთეზირებელი ფერმენტების AGAT-სა და GAMT-ის აქტივობის დაქვეითებით. აღნიშნული ფერმენტების კინეტიკური პარამეტრების (V_{max} , K_m) შესწავლამ აჩვენა, რომ აქტივობის დაქვეითების მიზეზს წარმოადგენს ფერმენტის მოლეკულის სტრუქტურული ცვლილებები.

4. ეგზოგენურად შეყვანილი კრეატინი დადებითად მოქმედებს უჯრედში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე, კერძოდ კრეატინის ფონზე საგრძნობლადაა მომატებული სტრესის პირობებში დაქვეითებული ისეთი ფერმენტების აქტივობა, როგორცაა კრეატინკინაზა, სუქცინატდეჰიდროგენაზა, აკონიტაზა და ნაწილობრივ ფუმარაზა, რაც კრეატინის პრევენციულ ეფექტზე მიუთითებს .

5. მიუხედავად კრეატინის დადებითი ეფექტისა ენერგეტიკული მეტაბოლიზმის მიმდინარეობაზე, იგი მნიშვნელოვნად ცვლის სისხლის ლიპიდური სპექტრის შემადგენლობას. კერძოდ, მისი ხანგრძლივი ინტრაპერიტონეალური შეყვანა ზრდის როგორც თავისუფალი ლიპიდების (ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები), ასევე დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივ შემცველობას, რაც თავის მხრივ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

დასკვნები

1. ხანგრძლივი სოციალური იზოლაცია, რომელიც მიმდინარეობს ბუნებრივი დღე-ღამური რიტმის დარღვევის ფონზე, გულის კუნთის ქსოვილში იწვევს ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის პროცესის გააქტიურებასა და ანტიოქსიდანტური სისტემის ზოგიერთი ფერმენტის (სოდ, კატალაზა, გლუტათიონპეროქსიდაზა, გლუტათიონრედუქტაზა) აქტივობის დაქვეითებას, რაც განაპირობებს ოქსიდაციური სტრესის განვითარებას;
2. შესწავლილ პირობებში, გულის კუნთის ქსოვილში აღინიშნება ძირითადი ენერგეტიკული გზების (კრემბსის ციკლი, გლიკოლიზი, კრეატინული ციკლი) ინტენსივობის შემცირება, რაც გამოიხატება ამ პროცესებში მონაწილე ზოგიერთი ფერმენტის (სუქცინატდეჰიდროგენაზა, აკონიტაზა, ფუმარაზა, ალდოლაზა, კრეატინკინაზა) აქტივობის დაქვეითებით;
3. ეგზოგენურად მიწოდებული კრეატინი დადებითად მოქმედებს გულის კუნთში ხანგრძლივი სტრესით განპირობებულ დაქვეითებულ ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე;
4. კრეატინის ხანგრძლივი დროით ეგზოგენური მიწოდება, მიუხედავად მისი დადებითი ეფექტისა გულის კუნთის ენერგეტიკულ მდგომარეობაზე, უარყოფითად აისახება სისხლში ლიპიდების შემცველობაზე, რაც გამოიხატება ქოლესტერინისა და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობრივ მატებასა და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების შემცირებაში. რაც თავის მხრივ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Cernak I, Savic V, Kotur J, Prokic V, Kuljic B, Grbovic D, Velijovic M , Alterations in magnesium and oxidative status during chronic emotional stress. *Dev. of Research on Magnesium*. 2000; 13: 29-26
2. Dhalla NS, Temsah RM, Netticadan T, Role of oxidative stress in cardiovascular diseases, *J Hypertens*. 2000 Jun; 18(6):655-73.
3. Yao R, Rioux N, Castionguay A and You M. Inhibition of COX-2 and induction of apoptosis: two determinants of no steroidal anti-inflammatory drug's chemopreventive efficacies in mouse lung tumorigenesis. *Exp Lung Res* 2000, 26, 731-742
4. Radi R, Beckman JS, Bush KM, Freeman BA. Peroxynitrite oxidation of sulfhydryls. The cytotoxic potential of superoxide and nitric oxide. *J. Biol. Chem*. Mar 5, 1991, 266(7):4244-50.
5. Erickson GR, Alexopoulos LG, Guilak F, Hyper-osmotic stress induces volume change and calcium transients in chondrocytes by transmembrane, phospholipid, and G-protein pathways. *J Biomech*. 2001 Dec; 34(12):1527-35.
6. Landmesser U, Spiekermann S, Dikalov S, Tatge H, Wilke R, Kohler C and Harrison DG, et al. Vascular oxidative stress and endothelial dysfunction in patients with chronic heart failure: role of xanthine-oxidase and extracellular superoxide dismutase. *Circulation* 2002, 106: 3073–30
7. Sevanian A, Shen L and Ursini F. Inhibition of LDL oxidation and oxidized LDL induced cytotoxicity by dihydropyridine calcium antagonists. *Pharm Res* 2000, 17: 999–1006.
8. Ranabir S, Reetu K. Stress and hormones. *Indian Journal of Endocrinology and Metabolism*. 2011;15(1):18-22.
9. Black PH. Central nervous system-immune system interactions: Psychoneuroendocrinology of stress and its immune consequences. *Antimicrob Agents Chemother*. 1994; 38:1–6
10. Goldstein D. Stress-induced activation of the sympathetic nervous system. *Balliere's Clin Endocr Metab*. 1987;1:253–78
11. Buchczyk D.P. Grune T., Sies H., Klotz L.O. Modifications of glyceraldehyde-3-phosphate dehydrogenase induced by increasing concentrations of peroxynitrite: early recognition by 20S proteasome. *Biol. Chem*. 2003, 384, 2, pp. 237-241.
12. Konorev E.A., Hogg N., Kalyanaraman B. Rapid and irreversible inhibition of creatine kinase by peroxynitrite. *FEBS Lett*. 1998, 427, 2, pp. 171-174.

13. Puglia CD, Powell SR . Inhibition of cellular antioxidants: a possible mechanism of toxic cell injury". *Environ. Health Perspect.*1984, 57: 307–11.
14. Anu Rahal, Amit Kumar, Vivek Singh, et al., *Oxidative Stress, Prooxidants, and Antioxidants: The Interplay*, BioMed Research International, vol. 2014, 19 pages
15. Ramond A, Godin-Ribuot D, Ribuot C, Totoston P, Koritchneva I, Cachot S, Levy P, Joyeux-Faure M. Oxidative stress mediates cardiac infarction aggravation induced by intermittent hypoxia. *Fundam Clin Pharmacol.* 2011, 27 (3): 252–261.
16. Cooper GM. *The Cell: A Molecular Approach*. 2nd edition. Sunderland (MA): Sinauer Associates; 2000. Metabolic Energy. Available from: <http://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK9903/>
17. Alves NL, Derks IA, Berk E, Spijker R, van Lier RA, Eldering E. 2006. The Noxa/Mcl-1 axis regulates susceptibility to apoptosis under glucose limitation in dividing T cells. *Immunity* 24: 703–716.
18. Altman BJ, Rathmell JC. Metabolic stress in autophagy and cell death pathways. *Cold Spring Harbor perspectives in biology.* 2012 Sep 1;4(9):a008763.
19. Toescu V, Nuttall SL, Martin U, Nightingale P, Kendall MJ, Brydon P, Dunne F. Changes in plasma lipids and markers of oxidative stress in normal pregnancy and pregnancies complicated by diabetes. *Clinical Science.* 2004 Jan 1;106(1):93-8.
20. Peluso I, Morabito G, Urban L, Ioannone F, Serafi M. Oxidative stress in atherosclerosis development: the central role of LDL and oxidative burst. *Endocrine, Metabolic & Immune Disorders-Drug Targets (Formerly Current Drug Targets-Immune, Endocrine & Metabolic Disorders).* 2012 Dec 1;12(4):351-60.
21. Al-Benna S, Hamilton CA, McClure JD, Rogers PN, Berg GA, Ford I, Delles C, Dominiczak AF. Low-density lipoprotein cholesterol determines oxidative stress and endothelial dysfunction in saphenous veins from patients with coronary artery disease. *Arteriosclerosis, thrombosis, and vascular biology.* 2006 Jan 1;26(1):218-23.
22. Viner R (1999). "Putting Stress in Life: Hans Selye and the Making of Stress Theory". *Social Studies of Science* 29 (3): 391–410.
23. Schneiderman, N.; Ironson, G.; Siegel, S. D. (2005). "Stress and health: psychological, behavioral, and biological determinants". *Annual Review of Clinical Psychology* 1: 607–628.

24. Smith, C. A.; Tong, E. M. W.; Ellsworth, P. C. (2014), "The Differentiation of Positive Emotional Experience as Viewed through the Lens of Appraisal Theory", in Tugade, M.; Shiota, M.; Kirby, L. D., *The Handbook of Positive Emotions*, New York, NY: Guilford, pp. 11–27
25. Hansen C. H., Walker J., Thekkumpurath P., Kleiboer A., Beale C., Sawhney A., Murray G., Sharpe M. (2013). "Screening medical patients for distress and depression: does measurement in the clinic prior to the consultation overestimate distress measured at home?". *Psychological Medicine* **43**: 2121–2128
26. Selye H. The Evolution of the Stress Concept: The originator of the concept traces its development from the discovery in 1936 of the alarm reaction to modern therapeutic applications of syntoxic and catatoxic hormones. *American scientist*. 1973 Nov 1;61(6):692-9.
27. Kemeny M. E. (2007). "Understanding the interaction between psychosocial stress and immune-related diseases: A stepwise progression". *Brain, Behavior, and Immunity* 21 (8): 1009–1018.
28. Glavas, M.M.; Weinberg, J. (2006). "Stress, Alcohol Consumption, and the Hypothalamic-Pituitary-Adrenal Axis". In Yehuda, S.; Mostofsky, D.I. *Nutrients, Stress, and Medical Disorders*. Totowa, NJ: Humana Press. pp.165-183
29. Davis et al. Prenatal Exposure to Maternal Depression and Cortisol Influences Infant Temperament. *Journal of the American Academy of Child & Adolescent Psychiatry*, 2007, v46 n6 p737
30. Neurotransmitters and psychiatric disorders. In: *Psychiatric disorders with a biochemical basis*. Donaldson D. Carnthorn, UK: The Parthenon Publishing Group Inc, 1998: 45–55.
31. Satpathy M. The Role of Neuro-Endocrine System in Stress Mediation and Health Maintenance. *Psychoneuroimmunology: A Behavioural Approach*. 2009:265
32. Varghese FP, Brown ES. The Hypothalamic-Pituitary-Adrenal Axis in Major Depressive Disorder: A Brief Primer for Primary Care Physicians. *Primary Care Companion to The Journal of Clinical Psychiatry*. 2001;3(4):151-155.
33. Hardeland, Rüdiger; Pandi-Perumal, S.R.; Cardinali, Daniel P. (2006). "Melatonin". *The International Journal of Biochemistry & Cell Biology* 38 (3): 313–316.
34. Altun A, Ugur-Altun B (May 2007). "Melatonin: therapeutic and clinical utilization". *Int. J. Clin. Pract.* 61 (5): 835–45.

35. Boutin JA, Audinot V, Ferry G, Delagrangé P (August 2005). "Molecular tools to study melatonin pathways and actions". *Trends Pharmacol. Sci.* 26 (8): 412–9.
36. Hardeland R (July 2005). "Antioxidative protection by melatonin: multiplicity of mechanisms from radical detoxification to radical avoidance". *Endocrine* 27 (2): 119–30.
37. Srinivasan V, Pandi-Perumal SR, Traht I, Spence DW, Poeggeler B, Hardeland R, Cardinali DP (2009). "Melatonin and melatonergic drugs on sleep: possible mechanisms of action". *Int. J. Neurosci.* 119 (6): 821–46.
